# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 28 ხუთშაბათი, 29 აგვისტო 1918 წ. № 28


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა»-ს კანტორა ამით აცხადებს, რომ ვინც ენკენისთვის პირველ დღეს სვედრ ფულს არ შემოიტანს გაზეთის გაგზავნა მოესპობა


## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია
## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მაცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. გამოცდები და განმეორებითი გამოცდები—26 აგვ. (ახ. სტილით). კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.

50—2 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.


## განცხადება

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ ქვემოდ აღნიშნული საქონელი, გაუტანელი რკინის გზათა წესდების 84 მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში, გაიყიდება თბილისის ცენტრალ საწყობში „10“ იანვარს 1919 წ. დილის ათ საათზე; გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდად 11 იანვარს 1919 წ.

უდოკუმენტო ბაგაჟი.

მიღებული სამტრედიაში—ბათომიდან № 28310—7 ფ. 10 გ., ბათომიდან № 3303—7 ფ. 15 გ., ბათომიდან № 495—1 ფ. 12 გ., [illegible]დან № 315—1 ფ. 7 გ., ბათომიდან № 4844—6 ფ. 12 გ., ბათომიდან № 1397— 1 ფ. 10 ქ. ბათომიდან № 1314—2 ფ. 25 გ. ბათომიდან №83885·2 ფ. ბათომიდან № 6809—4 ფ. 10 გ., ბათომიდან № 36983—2 ფ. 20 გ., ბათომიდან № 4157 —წიგნები 30 გ., მიღებული ხაშურში—ფოთიდან № 72893—1 ფ. სამტრედიიდან № 57136 კაკალი წვრილი 1 ფ. 35 გ., მიღებული ყარსში—ცვეტკოვიდან № 1917—36 გ., კრიმსკიდან № 1502—1 ფ. 15 გ., მიღებული ახალსენაკში—ფოთიდან № 65247— 25 გ., მიღებული ნათლუხში—თბილისიდან № 24024 —1 ფ. 25 გ., ნაპოვნი თბილისის სადგურზე №№ 58, 59, 60, 62, 64, 65 და 66.

3—1


## სადილი პურით

სოლოლაკის ქუჩაზე (ოლდასტ ქუჩის დასაწყისი № 3 ბინა 12). იხსნება პატარა სასადილო კარგათ მოწყობილ ოთახში, სადაც მიღებულია ზომები, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. სადილი იქნება უხვი, ½ გირვ. პურით წმინდა ერბოზე, პატარა სუფრით და ეღირება 12 მან. წრე მზარეულიდან დაწყებული შესდგება ინტელეგენტ ქალებისაგან. სადილის ზედმეტად მსურველთ, განსაზღვრული ფასით შეუძლიათ მოითხოვონ ყავა, ტკბილი, ღვინო, კონიაკი, ლიკიორი. მსურველი უნდა ჩაეწეროს წინადვე. ერთი კვირის სადილის ფასი წინდაწინვე. სასადილო გაიხსნება პირველ სექტემბერს (ახალი სტილით).


## ოფიციალური განყოფილება

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

27 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.
№ 231.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ა: თბილისის გუბერნიის, გორის მაზრის კომისარი ივანე ანტონის ძე არონიშიძე იმავე თანამდებობაზე ზემოხსენებულ გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა: თანამდებობიდან და სამსახურიდან თბილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის კომისარი ანტონ იოსების ძე გეგელაშვილი, თანახმად მისი თხოვნისა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერ: გ. მ ა ხ ა რ ა ძ ე.

### გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

შრომის სამინისტროს მიერ ამა წლის 5 ივლისის გამოცემულ კანონისა.

I. ხუთმეტი წლის სამსახურის ზევით თვითეული წლის ანგარიშში უნდა მიეცეს ნახევარ კვირის ჯამაგირი.

II. ოჯახის პატრონად ითვლებიან, გარდა ცოლიანების და ქმრიანების, ის მარტო ხელნიც, რომელნიც ინახავენ ახლო ნათესავთ (მამას, დედას, ძმებს, დებს და სხვა).

III. ლიკვიდაციის დროს მოსამსახურე ცოლსა და ქმარს უნდა ჩაეპბარდეს ანგარიში, როგორც მარტო ხელთ; იმ შემთხვევაში-კი, თუ ჰყავთ შვილები, ან ინახავენ მახლობელ ნათესავებს, ერთ მათგანს მიეცემა სალიკვიდაციო დახმარება, როგორც ოჯახის პატრონს.

IV. ისინი, ვინც იღებენ პენსიას ან აქვთ უფლება მასზედ, მხოლოდ მაშინ მიიღებენ სალიკვიდაციო ჯილდოს მესამე მუხლის ძალით, თუ უარს განაცხადებენ პენსიაზე.

V. იმ პირთ, რომელიც შტატ გარეშე დარჩენის დროს მსახურობდნენ სამოქალაქო დაწესებულებაში, გარნა ფაქტიურად ითვლებოდნენ სამხედრო სამსახურში, უნდა აღმოუჩინონ როგორც დახმარება, აგრეთვე მისცენ ჯილდო იმ ვარაუდით, თუ რა ჯამაგირი იყო დადებული შესაფერ თანამდებობისათვის მოსამსახურე პირის დათხოვნის დროს. მოსამსახურე პირთ დათხოვნის დროს დახმარება მიეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ მიუღიათ სალიკვიდაციო ჯილდო სამხედრო უწყებიდამ. ის პირნი, რომელთაც მიუღიათ, მეორე მუხლის ძალით, დახმარება სამოქალაქო სამსახურიდამ დათხოვნის დროს, ჰკარგავენ უფლებას სალიკვიდაციო ჯილდოს მიღებაზე სამხედრო სამსახურიდგან დათხოვნის დროს, რაც ყოველ კერძო შემთხვევაში უნდა ეუწყოს მათ მთავრობას.

VI. ყველა დანარჩენ კითხვებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა 5 ივლისს გამოცემულ კანონის ცხოვრებაში გამოცემული სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

შრომის მინისტრის ამხანაგი ვ. გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 29 აგვისტო.

სახელმწიფო რომ ცარიელი სიტყვებით ვერ იცოცხლებს და რევოლიუცია ფორმულებით ვერ გაიმარჯვებს, ეს ყველაზე მჭერმეტყველურათ რუსეთის დღევანდელმა ისტორიამ დაგვანახვა.

ბოლშევიკების პოლიტიკურ მოვლინებამდე რუსეთის დროებითი მთავრობა და რევოლიუციური ცენტრები ვერ იჩენდენ იმას, რაც უპირველესია რევოლიუციის ხანაში. ეს არის ნათლათ დასახული მიზანი, ურყევი პოლიტიკა და მტკიცე სახელმწიფოებრივი შემოქმედება.

ბევრი რევოლიუციური სიტყვა, ნაკლები რევოლიუციური საქმე—ასეთი იყო პოლიტიკური მდგომარეობა, წარმოშობილი თვით რუსეთის ცხოვრების ობიექტიურ პირობათა განვითარების მიერ.

შემდეგ ბოლშევიკური დემაგოგია დაჰპირდა გაჭირვებულ ხალხს ყველაფერს, დროებითი მთავრობა კაპიტალისტების და იმპერიალისტების მთავრობაა და როგორც ასეთი ხალხს ღალატობსო გაჰკიოდა ის. ხალხს უნდოდა ზავი; მას ჰშიოდა, პური არ ჰქონდა. არევ-დარევა იყო, წესიერება და მშვიდობა უნდოდა; გლეხობას მიწა სწყუროდა. და აი ყოველივე ეს ბოლშევიკებმა თავის საქმედ გამოაცხადეს და რუსეთის გაუცნობიერებელი და უკულტურო მასსა გაიყოლიეს.

რა მოხდა, ვიცით.

ნამდვილი ზავის მაგიერათ მთელს რუსეთში საყოველთაო ომი დამყარდა. პური სწორეთ ბოლშევიკურ დიქტატურის შემდეგ უფრო გაწყვა. დიდ ქალაქებში ხალხი შიმშილისაგან არაქათ გამოლეულია. პეტროგრადში ადამიანები ლანდებივით დაიარებიან.

ასეთ დროს ლენინის უსირცხვილო განცხადება-ხალხის გამოკვების საქმე კარგათ გვაქვს დაყენებული და სოციალისტურ განაწილებას ვანხორციელებთო უდიდესი სოციალური სიცრუე და მოტყუებაა.

წესიერებას და მშვიდობიანობას სულ გამოეთხოვა რუსეთი, რომელიც სავსებით ჩანთქა შავმა ანარქიამ და სამოქალაქო ომმა. რაც შეეხება მიწის საკითხს, ის არ გადაჭრილა და არც გადაიჭრება ბოლშევიკურ-ესერების „სოციალიზაციის“ შემწეობით. დღევანდელი რუსეთის სოფელი დაუსრულებელი ქაოსი და ჯოჯოხეთია,

ამ ნაირათ რუსეთის სახელმწიფოებრივობა მოკვდა, მისი საზოგადოებრივობა გაიხრწნა. დაქსაქსული დემოკრატიის და ბოლშევიკების მიერ „განდევნილი“ ბურჟუაზიის წარმომადგენლები დღეს იმის ცდაში არიან, რა თქმა უნდა თავ-თავისი მეტოდით და პოლიტიკით, რომ „რუსეთს თავი მოუყარონ“ და სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღადგინონ.

ეს მაგალითი ყველა ერს და ყველა სახელმწიფოს ყოველთვის თვალ წინ უნდა ედგას. დემოკრატიამ ნათლათ უნდა შეიგნოს და წარმოიდგინოს ის მიზეზები, რომლებმაც მიწასთან გასწორეს ვეებერთელა სახელმწიფო და დიდი ხნით დაამარცხა პროლეტარიატის სოციალური მოძრაობა.

საქართველოს დემოკრატია აშკარათ უნდა ხედავდეს, რომ მთავარი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობისათვის ბრძოლაში და რევოლიუციურ მონაპოვართა შესანარჩუნებლათ არის მთელი ერის ყველა სასიცოცხლო ძალთა შეკავშირება და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გამტკიცება.

უამისოთ არ არის კოლექტიური თავისუფლება, არც საზოგადოებრივი წესიერება, სამოქალაქო მშვიდობიანი ურთიერთობა და ფართო რეფორმატორული შემოქმედება. უამისოთ მოსპობილია აგრეთვე ყოველივე შესაძლებლობა ღრმა სოციალურ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისათვის და სოციალისტური წინ მსვლელობისათვის.

როგორც გაკვრით ვთქვით, ხალხი სახელმწიფო სიტყვების და ფორმულების თხზვით ვერ იარსებებს. მთელი ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური სინამდვილე იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს რესპუბლიკა დღეს ასეთ ფორმულების თხზვით არ ირთობს თავს და ნამდვილ ალმშენებლობითი მუშაობას აწარმოებს.

ჩვენმა ხალხმა თავის დროზე სწორათ აუღო ალღო რუსეთის შინაურ და საერთაშორისო ვითარებას და დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაამტკიცა, რომ იგი მოპოებულ დემოკრატიულ თავისუფლებას და ერის თვითგამორკვევის უფლებას ადვილად არვის დაუთმობს.

ჩვენმა გაცნობიერებულმა დემოკრატიამ მთელი თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით და ორგანიზაციული ნიჭიერებით სამშობლო ქვეყანას თავიდან აიცილა შინ გამოქცეული, გახულიგანებული ჯარის საფრთხე. ეს ამბავი დაუვიწყარი იქნება არა მარტო ჩვენი სამშობლოს, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის ერთა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გარდა ამისა აშკარად უნდა გავაცხადოთ, რომ ჩვენ ერს, მთლიანად აღებულს, რომელმაც დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნა და სწორი გამოსავალი გზა უჩვენა დანარჩენ ერთ, ბოლშევიზმი, როგორც გამათახსირებელი სოციალური ავათმყოფობა არ შეეყარა.

საქართველოს რესპუბლიკა იმდენად ძლიერ კულტურულ-პოლიტიკურ და ეთნოგრაფიულ-ისტორიულ საფუძველზე აღმოჩნდა დამყარებული, რომ მას ვერაფერს ვერ აკლებს ბოლშევიკური ზღვის მღვრიე და ტალახიანი ტალღები.

ესეც დიდი პოლიტიკური დამსახურებაა მთელი ქართველი ერის, მთელი საქართველოს დემოკრატიის და მოწმობს მხოლოდ იმას, რომ მტკიცე რესპუბლიკანურ წყობილებისათვის, თავისუფალ სახელმწიფოებრიობისათვის ნიადაგი ჩვენში გაპოხიერებულია.

მხოლოდ საჭიროა დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობა დიდი ენერგიის დახარჯვა, რომ გაპოხიერებულ ნიადაგზე თავისუფლათ იხეთქოს ხალხის საზოგადოებრივმა შემოქმედებამ და საბოლოოდ დამყარდეს რევოლიუციის კეთილ-ნაანდერძევი სიკეთენი.

დღეს ჩვენ სწორეთ ასეთ სახელმწიფოებრივ მუშაობაში ვართ ჩაბმული. და ვინც ამაში ხელს შეგვიშლის, ის იქნება ჩვენი სამშობლოს მტერი და ორგული.

# ორიოდე სიტყვა.

ბაქო რომ დიდხანს ვერ გასძლებს დღევანდელ მდგომარეობაში, ეს თავის თავად ცხადია. ბოლშევიკების „სოვნარკომი“ ბაქოს უბედურებაში თავის ტრაგედიას ხედავს და უკანასკნელ ღონეს ხმარობს ბაქოში გადაყენებულ ბოლშევიკების დასახმარებლათ და ინგლისის იმპერიალიზმის „გასადევნათ“.

ჩვენ ძალიან გვეეჭვება ბოლშევიკურმა ცენტრმა რაიმე სერიოზული დახმარება აღმოუჩინოს ბაქოს ბოლშევიკებს. ჯარს გზავნით დასახმარებლათო ეს ჩვეულებრივი ბოლშევიკური ფახი-ფუხია და არ ვფიქრობთ, ბოლშევიკთა საქმე იმდენათ კარგათ იყოს რუსეთში, რომ შორეულ ბაქოს რეალურ დახმარებაზე შეიძლებოდეს ფიქრი.

რუსეთისთვის ბაქო აუცილებელ საჭიროე[illegible]დგენს. ამიტომ რუსეთის ყველა პარტია და მიმართულება დაინტერესებულია ბაქო რუსეთს დარჩეს. ეს მათი ინსტინქტიური ლტოლვილებაა.

მაგრამ მეორეს მხრით ბაქო მთელი თავის სიმდიდრით იმყოფება ამიერ კავკასიაში, უკეთ რო ვთქვათ ადერბეიჯანის ტერიტორიაზე.

რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა არსებულ იყო, ცხადია ის ბაქოს არავის არ დაუთმობდა. დღეს არც ერთი სახელმწიფოებრივი ერთეული, რაგინდა დემოკრატიული იყოს იგი, თავის ტერიტორიულ სამკვიდრებელზე ხელს ვერ აიღებს და თავის საარსებო სასიცოცხლო წყაროს სხვას არ დაულოცავს.

მაგრამ დღეს ამიერკავკასიის ერთი რესპუბლიკის ადგილას სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. და ბაქო თავის მიდამოებით ერთი მათგანის, სახელდობ ადერბეიჯანის ტერიტორიალურ ფარგლებშია მოქცეული.

ამიტომ გასაგებია ადერბეიჯანის და მისი ფაქტიური მფლობელის-ოსმალეთის ცდა და ბრძოლა ბაქოს ხელში ჩასაგდებათ.

რა თქმა უნდა კარგი სურვილია, რომ ბაქო თავისუფალი, საერთაშორისო ქალაქი იყოს, რომ ის ყოველ შემთხვევაში დარჩეს იმის ხელში, ვინც მას უფრო კულტურულათ შეინახავს, რომ სჯობია ინგლისელების ხელში იყოს ბაქო, ვინემ ოსმალების ხელში სამუდამოთ და სხ. და სხ.

მაგრამ ეს მხოლოდ კარგი სურვილები იქნება და მეტი არაფერი. რეალური მდგომარეობა სულ სხვა ნაირია და ჩვენც სწორეთ ამას უნდა გაუწიოთ ანგარიში.

საყურადღებოა კითხვის მეორე მხარე. ბაქოსთან გაისკვნა დიდი საერთაშორისო ინტერესების კვანძი, რომელიც მშვიდობიანათ არას გზით არ იხსნება. საერთოდ ამიერკავკასიის და კერძოდ ბაქოს მდგომარეობა უკვე დაემორჩილა მსოფლიო პოლიტიკის გახურებულ სფეროს. ორივე დიდი მებრძოლი კოალიციის ხილული თუ უხილავი ძაფები აქ იყრის თავს, აქ ჰფეთქს აჩქარებულათ მათი მაჯა.

ვისი იქნება ბაქო, ვისი იქნება ამიერკავკასია და საერთოთ კავკასია, ვისი იქნება ეს შესანიშნავი ყელი, ორ ზღვის შუა რომ გადაჰიმულა, რომელიც აერთებს ევროპას აზიასთან და წარმოადგენს საუცხოვო მასალებს „უანგარიშო ულევი“ ქვეყნების დასაპყრობათ და თავის გავლენის გასავრცელებლათ—აი ასე სდგას საკითხი.

ჩვენი რესპუბლიკის ინტერესი და მდგომარეობა მოითხოვს, რომ ამიერკავკასიის ფრონტი, ბრძოლის ასპარეზი სრულად გაუქმდეს, საკითხი მშვიდობიანათ გადიჭრას და სისხლის ღვრა შეწყდეს. მაგრამ რაკი ეს არა ხდება და ომი ჩაღდება ჩვენს ახლო, ომი საშინელი და დაუნდობელი, საქართველოს რესპუბლიკას შეუძლია მხოლოდ ერთი მისწრაფება, ერთი სურვილი ჰქონდეს. ეს არის ჩვენი მოკავშირის-გერმანიის გამარჯვება, მისი დაწინაურება საერთაშორისო სამხედრო ასპარეზზე.

რაც შეეხება რუსეთს, ის იძულებული უნდა შეიქნეს სრულიად დაივიწყოს ბაქო, როგორც თავისი განუყოფელი ნაწილი, თავის ბუნებრივი ქალაქი.

დიდი რევოლიუცია რუსეთში დაიბადა. მაგრამ, სამწუხაროთ, რუსეთმა ვერ შეიკავა, ვერ შეითვისა, ვერ შეისისხლხორცა ის და ფართოდ გაუშალა გული ნამდვილ თავისუფლების, რევოლიუციის და დემოკრატიის სამტრო და მავნებელ ძალებსა და გავლენებს.

ჩვენ გულის ფანცქალით ვადევნებთ თვალყურს რუსეთის დემოკრატიული განახლების მამოძრავებელ ძალებს და მხურვალე გულით ვუსურვებთ მათ გამარჯვებას.

მაგრამ ჩვენი მთელი არსებით შევებრძოლებით დიდპყრობელური რუსეთის ლტოლვილებას პატარა ხალხთა ხელახლა დასაპყრობათ თავის ბატონების გასაძლიერებლათ.

ერთხელ ბისმარკმა ასე დაახასიათა რუსეთის მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობაში: „რუსეთს საკეთებელი არაფერი აქვს დასავლეთით. მას იქ შეუძლია მიიღოს მხოლოდ ნიჰილიზმი და სხვა უბედურება. მისი მისია აზიაშია. იქ ის წარმოადგენს ცივილიზაციას“.

არ ვიცით როგორ ცივილიზაციას წარმოადგენდა ბისმარკის რუსეთი აზიაში. მხოლოდ მისი იმპერიალისტური და დაპყრობითი პოლიტიკა აზიაში ყოველთვის სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა კერძოთ ჩვენი დემოკრატიის მხრით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი დამცველი დემოკრატია ახლა მით უფრო შეებრძოლება ბოლშევიკურ-ანარქიულ თუ ლიბერალურ-მონარქიულ რუსეთის მისწრაფებას ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის გაუქმებისადმი.

ჩვენ ვართ თავისუფალი და ვიცავთ დამოუკიდებლობას და დემოკრატიას.

# პრესის მიმოხილვა.

„მშაკი“ სწერს:

ჩვენის ნებისა და სურვილების წინააღმდეგ შესაძლოა ამიერ-კავკასიაში მსოფლიო ომის სურათები განმეორდეს.

ორივე კოალიციის საბრძოლველად გამზადებული ტალღები ეხეთქებიან ჩვენს კარებს და გვიქადიან ადგილიდან დაძვრას. ბაქოს დაპყრობა, რისთვისაც ასე ენერგიულად იბრძვის ოსმალეთი, ეწინააღმდეგება არა მარტო რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებს, არამედ ინგლისის ინტერესებსაც და მას ასე თუ ისე პასუხი უნდა გაეცა. ამ პასუხად ჩაეთვლება ინგლისელ ჯარების ბაქოში შესვლა.

ამ რიგად, ბაქოდან დაწყებული განჯის ველებამდის გადაჭიმული ველი გადიქცევა სამხედრო მოქმედებათა ასპარეზად და შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომლის შედეგები შესაძლოა უფრო სამძიმო იყოს ჩვენთვის.

მოწინააღმდეგე კოალიციათა ინტერესები იმდენად შეეჯახნენ ერთი ერთმანეთს, რომ შესაძლოა ყოველივე ეს გამართლდეს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მომავალ საფრთხეს ვერ აგვაცდენს თვით ის ღონისძიება, რომელიც მიაჩნია „მშაკ“-ს ერთად ერთ მხსნელ საშუალებად, ეს არის: „ხელახლა შექმნა ამიერ-კავკასიისა და მის დამოუკიდებლობის გამოცხადება“. ჩვენ გვგონია, რომ ასეთ ტალღების წინაშე თუნდაც რომ ხსნა მართლაც ამიერ-კავკასიის გაერთიანებაში და მის დამოუკიდებლობის აღდგენაში იყოს, ამას ვერ შევძლებთ ჩვენის მეზობლების ხელმძღვანელთა პოლიტიკის წყალობით.

ჩვენ ვიცით როგორი კონგლომერატი გამოდგა ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა ოსმალეთთან ბრძოლის დროს. ისიც ვიცით, რომ გამთიშველ ძალებში უფრო ჩვენი მეზობლების, სომხების და თათრების ხელმძღვანელნი ექცეოდნენ. და აი ვითვალისწინებთ რა ამას, არა გვგონია რომ ახალ საფრთხის წინაშე ეს კონგლომერატი გამოდგება იმდენად მტკიცე, რომ გაუძლებს ორ კოალიციის ტალღებს. ჩვენ ამაში ეჭვი არ შეგვეპარებოდა, რომ მწარე გამოცდილება არ გვახსოვდეს. საკმაოა ომის ღმერთმა თუნდაც ოდნავ, ერთის წუთით გადახაროს გამარჯვების სასწორი ინგლისელებისკენ, რომ სომხის ერის ხელმძღვანელებმა, რომელთაც ახლა სიზმარშიაც ვანის აღება ელანდებათ, არ დაარღვიონ ამიერ-კავკასიის მთლიანობა...

* * *

მოგეხსენებათ, ბაქოს საკითხი მორიგ და მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხად გადიქცა. ადგილობრივ პრესაში მას ყველაზე მეტ ყურადღებას რუსი შოვინისტები აქცევენ. დღე ერთია და „ტრუდოვოე ზნამია“ სამ წერილს უძღვნის ბაქოს საკითხს და თან ერთ ახალ-ახალ რჩევა-დარიგებას აძლევს ხან ამიერ-კავკასიის ერებს, ხან კი ჩვენს ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებს. ამას წინად „ტრუდოვოე ზნამია“ ურჩევდა ამიერ-კავკასიის ერებს, რომ ისინი რუსეთის რევოლიუციის ძველ პოზიციებს დაბრუნებოდნენ. დღეს იგი კვლავ ეხება ბაქოს საკითხს და სწერს:

„უკანასკნელ ცნობებით სახალხო კომისართა საბჭოს ბაქოს ფრონტზე საბჭოთა მთავრობის აღსადგენად და ინგლისელებთან საბრძოლველად ჯარები გამოუგზავნია. ჩვენ ბაქოს დამხობა არ გაგვიკვირდება. მაგრამ საყურადღებოა გერმანელ იმპერიალიზმის მიერ საბჭოთა მთავრობის მხარის დაჭერა“.

რა თქმა უნდა „ტრუდოვოე ზნამიელები“ დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ ბაქო, როგორმე შეინარჩუნოს რუსეთმა. ეს სურვილი იმდენად დაჰრევიათ „ტრუდოვოე ზნამიელებს“, რომ თავბედისა ვეღარა გაუგიათ-რა.

შესაძლებელია მართ[illegible] ლენინის მიერ ბაქოდან ინგლისელების გასარეკად ჯარების გამოგზავნას. სურვილი, თითქოს ლენინსაც კი შეუგნია, რომ დღეს ბაქოში ინგლისელების გამაგრება უფრო მეტ საფრთხეს უმზადებს ამიერ-კავკასიას, ვიდრე მისი მორიგებით გერმანელების ხელში გადასვლა. ამ მხრივ რა თქმა უნდა გერმანელები არ შეებრძოლებიან საბჭოთა მთავრობას ინგლისელების საწინააღმდეგოთ გალაშქრებაში. ამის იმედი კი ტყუილად აქვთ „ტრუდოვოე ზნამიას“, რომ რაკი გერმანელები ინგლისის წინააღმდ გალაშქრებაში ვთქვათ, ბოლშევიკებს არ შეებრძოლებიან, ისინი საქართველოში ბოლშევიკურ დიქტატურასაც მისცემენ გზას. ამაში დაინტერესებულნი არიან მხოლოდ ჩვენი მტრები და არა ჩვენი მოკავშირე გერმანელები.

# თურქული პრესა.

თბილისის თურქულ გაზეთ „გელეჯექში“ მოთავსებულია წერილი „ამიერ-კავკასიის“ სათაურით მემედ-ზადე მირზა ბალასი.

„ამ ბოლო დროს გაზეთები ჩვენი საზოგადოების ამაღელვებელ ზოგიერთ წვრილმანსა და არა ფორმალურ ცნობებსა და ამბებსა ჰბეჭდავენ. ამ ცნობების და ამბების მიხედვით თითქოს ინგლისელებს სპარსეთიდან ენზელში და აქედან აღმოსავლეთ კავკასიაში დიდძალი ჯარი გადმოუყვანიათ და უნდათ ჩვენი სამშობლო სისხლის მორევად გადააქციონ.

მართალია ყველას ეს არ სჯერა, განსაკუთრებით მაჰმადიანებში ერთიც არ მოიპოვება, რომ ეს ხმები დაიჯეროს. პოლიტიკურსა და სამხედრო მოსაზრებას მოკლებული და ფანატიზმის გავლენაში მყოფი ჩვენი საზოგადოება, თავს დამარცხებულად ვერ ხედავს და ამ გარამოებას დაცინვითა და ირონიით წინ ეგებება.

მაგრამ ჭეშმარიტად დამოუკიდებლობის და ცხოვრების ინტერესები გვავალებს ჩვენს შესახებ დაწერილი და გავრცელებული ყველა წვრილმანი ხმები საფუძვლიანად, დაწვრილებით გავარჩიოთ, მიტომ რომ, ინგლისელები კიდევაც რომ არ ჩამოსულიყვნენ ამიერ კავკასიაში, და ეს ხმები ძველი რეჟიმის მომხრეთა მიერ იყოს მოგონილი და გავრცელებული, მაინც შეიძლება გამართლეს.

პოლიტიკური მიმდინარეობა, ომიანობის სვე-ბედი ისე მალე გამოიცვლება, რომ ყოველი ეს, შესაძლებელია, გამართლდეს.

დღეს გერმანელებისა და თურქების ამიერ კავკასიაში შემოსვლის საქმე ჩვენ ნათლად გვიმტკიცებს, რომ გავრცელებული ხმები შეიძლება სიმართლედ გადაიქცეს.

ამიერ კავკასიაში ინგლისელების შემოსვლის შესახებ გავრცელებული ამბები უაზრო და უმიზეზო არაა. საგანგებოდ შეთხზული სამხედრო ხრიკები არის. თავდაპირველად ეს უნდა იქმნას გაგებული და ყველამ უნდა იცოდეს, რომ დღეს ბრძოლის ასპარეზზე მთელი ქვეყნიერების სულ დიდი კულტუროსანი, მდიდარი და ძლიერი ორი სახელმწიფო იბრძვის. ერთის მხრით სათავეში სდგას ინგლისი და მეორეს მხრით—გერმანია. ომი მეხუთე წელიწადია სწარმოებს და მათ შორის ერთიც არ დაღლილა, არ დაკნინებულა და არ შეწუხებულა. რუსეთის გარდა ყველა იძახის: ომი „გამარჯვებამდის“. თითქოს ამ ოთხი წლის განმავლობაში სისხლის დანთხევა, ხალხის დახოცვა, ოჯახის განადგურება მათ უფრო საბრძოლველად ახალისებს, ამხნევებს და გამბედაობას აძლევს.

ასეთის მხნეობით მებრძოლი სახელმწიფოები მოპირდაპირეს დასაცემად ახალს საბრძოლველ ასპარეზებს, ახალს ფრონტებს, ახალს ხრიკებს და ქელეხებს ეძებენ.

ასეთის განზრახვებით შემოვიდნენ გერმანელები და თურქები კავკასიაში. მათი განზრახვანი კავკასიის ერების დაღუპვა კი არ არის, არამედ იმ ძლიერი მხეცის ერთი დაკვრით დამარცხების სურვილია. ეხლა ამ აპერაციის დროს ადგილობრივი წვრილი ერები თუმცა ფეხებ-ქვეშ მოექცევიან, მაგრამ რაღას იზმენ. შველა არაა, მიტომ რომ ეს ბუნების კანონებია (?!)

საქმე ის არის, რომ გერმანელებისა და თურქების საწინააღმდეგოდ ინგლისელებსაც უნდათ გამოსვლა და ამიტომაც არის, რომ გერმანელებისა და თურქების მიერ ამიერ კავკასიაში შემოსვლით ინგლისელების შემოსვლის შესახებ გავრცელებული ხმებიც კი შეიძლება სინამდვილე იყოს.

ამის მიხედვით ჩვენ კავკასიის ერებ შორის უსიამოვნება, უთანხმოება კი არ უნდა იყოს ჩამოვარდნილი, არამედ ჩვენ ამ გარემოების დასახვედრად გვმართებს გამოვიჩინოთ ერთსულოვნება, ერთმანეთის სიყვარული, ერთობა, სიდარბაისლე და სხვა.

მართალია ომს ამიერ-კავკასიის ერებს არ გამოუცხადებენ, მაგრამ დღევანდელი მსოფლიო ომი თვალწინ გვიყენებს უმიზეზოდ მსხვერპლად ქცეულ სპარსეთს, საბერძნეთს, ბელგიას და გვეუბნება, რომ თუმცა თქვენთან არ იქნება ბრძოლა, მაგრამ ნივთიერად, სულიერად. კულტურულად და, შეიძლება, პოლიტიკურადაც ზიანი მოგივიდეთ. საქმე მოითხოვს ამიერ კავკასიის ერებ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება და უსიამოვნება თავიდან ავიცდინოთ. და ამიერ კავკასიის სიმდიდრის და სიცოცხლის გადარჩენისათვის გზა-კვალი და საშუალებანი გამოვნახოთ.

ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის ნათელი და ცხადი უნდა იყოს, რომ სამ და ოთხნაირი პოლიტიკის დაჭერა მთლიანი კავკასიის ოთხ ნაწილად დაყოფასა და დასუსტებას ნიშნავს. ამიერ კავკასია მთლიანია. საწარმოებელი მისი გარეშე პოლიტიკა მხოლოდ ერთი უნდა იყოს. და თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ჩვენი ლამაზი სამშობლო შეიძლება სამუდამოდ ნგრევის და ერთა სისხლის დამნთხეველი შეტაკებისა და ბრძოლის ასპარეზად შეიქმნას.

მართალია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები

ცენტრალურ სახელმწიფოების კავშირში იმყოფებიან. მაგრამ ეს არ კმარა. ერთ მიწა-წყალზე, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთა შორის თანხმობა და ერთობა უნდა სუფევდეს და ეს კი არ არსებობს. გარდა ამისა ინგლისელების შემოსვლა რომ გამართლდეს, ვინ იქნება ამის თავდები, რომ კავკასიის, რომელიმე სარესპუბლიკოდან ერთი ინგლისელების მხარეზე არ გადავა, მათ არ მიემხრობა? ადერბეიჯანს, საქართველოს და განსაკუთრებით სომხეთს მოეთხოვება, რომ დღევანდელი გარემოებანი გაითვალისწინონ და უსათუოდ თავიანთი დამოკიდებულება გამოარკვიონ და ამიერ-კავკასიის სარესპუბლიკოების მცხოვრებლებსაც მართებთ, რომ ყოველ ხმებს გონივრულად დააკვირდნენ და საშიშს მდგომარეობიდან თავის დახწევის საშუალებების საძიებლად შორს კი არა, არამედ საუკუნოებით ერთად ყოფილი და მათთან პოლიტიკური, მოქალაქობრივი, ეკონომიური დამოკიდებულობის მქონე მეზობლებლებს მიმართონ.

---

# ეროვნული საბჭო

### მარიამობისთვის 2-ს სხდომა მე-26-ე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს არჩილ ჯაჯანაშვილს.

ა რ ჩ. ჯ ა ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. (სოც. ფედერ.) ბატონებო! ის ტრაგიზმით სავსე ამბები, რომლებიც გადაიშალნენ ჩვენს თვალ-წინაშე, არ შეიძლება ასე სხვათა შორის და ასე ზერელედ იქმნას გაშუქებული.

მე 19-ე საუკუნის განმავლობაში ორი გზით მიდიოდა ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნება.

[illegible] იყო დემოკრატიული წესწყობილება-დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო მეორე გეზს მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

მართალია იდეურად ვერ მოხდა სინტეზი ამ ორი მიმართულებისა, მაგრამ ნამდვილად კი ომისა და რევოლიუციის ქარტეხილმა მოგვანიჭა ძვირფასი განძი, რესპუბლიკა და თავისუფლება. მრავალი შეეწირა ამ დიდ მიზნისთვის ბრძოლას. მათ სამარეში ჩაიტანეს ეს მათთვის განუხორციელებელი ოცნება.

მრავალთობათა ოცნება დღეს უკვე განხორციელდა, დღეს ჩვენ გვაქვს რესპუბლიკა, საქართველო დღეს პოლიტიკურად დამოუკიდებელია და აი ამ დროს რესპუბლიკის მთავრობის წინაალმდეგ ხდება აჯანყება ხალხის გულში.

ბატონებო, ისტორია არ მეორდება, მაგრამ ეს ტრაგიზმით ალსავსე მოვლენა ერთ ისტორიულ ამბავს მგონებს.

ეს არის საფრანგეთის ვანდეია.

თქვენ გახსოვთ ბატონებო თუ როგორ იბრძოდა მონარქისტულ წყობილების მოტრფიალე ხალხი, თუ როგორ წავიდა რესპუბლიკის წინაალმდეგ. და აი რესპუბლიკანური მთავრობა იბრძვის იმ ხალხის წინაალმდეგ, რომელმაც ვერ გაიგო რესპუბლიკის მნიშვნელობა და ვერ დააფასა. და აი მოხდა სასტიკი ბრძოლა ამ ორ ჯგუფად დაყოფილ საფრანგეთის ერის შორის. იქ მონარქიული იდეები დაეჯახა დემოკრატიულ იდეებს. მე მოგაგონებთ ამის შესახებ სიტყვებს დიდ პატრიოტის და რესპუბლიკანელის ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებს: იყო დრო როდესაც მთელი საფრანგეთი ებრძოდა პარიზს, მაგრამ პარიზმა სძლია „საფრანგეთი"-ო. დიახ! პარიზს ებრძოდა მთელი საფრანგეთი, პარიზზე იერიშიც მიიტანეს უცხო სახელმწიფოებმაც, მაგრამ პარიზმა ყველა სძლია და გაიმარჯვა, რადგან იქ ღრმად იყო ფესვ-გამდგარი ღრმა იდეა რესპუბლიკისა.

რესპუბლიკანურმა წესწყობილებამ სძლია მონარქისტულ იდეებისათვის მებრძოლნი. მე არ მინდა შევეხო, არ მინდა მოვიგონო ის ამბავი და შევადარო ჩვენში მომხდარ ამბებს. მაგრამ როგორც იქ როიალისტები თვით მოქმედებით, ისე აჯანყებული გლეხ-კაცები მოქმედობდნენ შეუგნებლობით. ვანდეელი გლეხკაცები კვირას რომ ეკლესიაში მიდიოდნენ შაბათს ჰინკებთან დაიარებოდნენ საბრძოლველ წამლის მისაღებად.

მაგრამ, როგორც ვანდეელი გლეხ-კაცობის მოქმედება არ შეეფერებოდა მის ნამდვილ სურვილებს, როგორც ვანდეელ გლეხ-კაცს არას არგებდა მონარქისტულ იდეებისთვის ბრძოლა, ისე არ შეეფერება ბოლშევიზმი ჩვენ გლეხების სურვილს, იგი არავითარ სარგებლობას არ მოუტანს მას. მიუხედავად ამისა ჩვენი ვხედავთ, რომ აქ ბოლშევიკურ მოძრაობას აქვს ადგილი. მართალია აქ შეიძლება ათასნაირი ინტერესი იყოს გადახლართული და ეს ასეც არის, მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ვერც ერთი ვერ მიაღწევს მიზანს. შეუგნებლობა ამა თუ იმ კუთხისა იყო მიზეზი, რომ ჩვენში ხალხის აჯანყებამ იფეთქა.

ამის ერთი მიზეზთაგანი იყო აგრეთვე ადმინისტრაციის სისუსტე, რის გამოც ბოროტმა ძალებმა შესძლეს თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ეს სიბნელე თვის ქვეყნისა. ჩვენდა საუბედუროდ მათ ეს შესძლეს. მათ აირჩიეს ჩამორჩენილი კუთხეები ჩვენი სამშობლოსი, სადაც უხვად დახვდათ ნოყიერი ნიადაგი თავიანთ ბოროტ თესლის დასათესად. ეს ნიადაგი იყო: ხალხის სიბნელე, გაუგებრობა და ადმინისტრატიულ აპარატის სისუსტე.

ამ აჯანყებას მოსპობს არა რეპრესიები, არამედ სიმტკიცე რესპუბლიკანურ იდეისა. ვერავითარი გზით ეს მახინჯი მოძრაობა ვერ დაიმორჩილებს რესპუბლიკანურ იდეებით აღჭურვილ ხალხს. ჩვენ აჯანყებულთა წინააღმდეგ არავითარ რეპრესიებს არ უნდა დავერიდოთ, მაგრამ ამით მიზანს ვერ მივახწევთ თუ მარტო ზარბაზნებსა და რეპრესიებს მივმართეთ, გარწმუნებთ, რომ ჩვენ ვერას გავხდებით.

დღეს სოფელმა არ იცის, არის თუ არა მთავრობა. ამ მხრივ საშინელი გაუგებრობაა იქ, აჯანყებულთა მხარეში. საჭიროა კულტურული ზომები მივიღოთ. იქნებ მთავრობამ სცადა ზოგიერთა ზომები, მაგრამ ამის საჭიროება დღეს მეტად დიდია. საჭიროა ხალხმა გაიგოს თუ რა ჰსურს ჩვენს მთავრობას, საჭიროა მან შეიტანოს, რომ იგი ხალხის ჭირ-ვარამისთვის თავგამოდებით ზრუნავს, დემოკრატიულ რესპუბლიკას საფრთხე თვით ასცილდება.

ა ლ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე (სოც.-დემ.) მოქალაქენო! მართალი უნდა მოგახსენოთ, ყველაფერს მოველოდი, მაგრამ თუ ჩვენს ნორჩ პარლამენტში ადგილი ექნებოდა ასეთ გამოსვლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ შეკითხვის გარშემო, მისი შემოტანის, მისი ავტორის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, ეს ვერ წარმომიდგენია მე.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ბატონებო, თუ ვის და რად ეძახდნენ „ინოროდცებს" და „ტუზემცებს"—რა მიზნით ხმარობდნენ სიტყვას „ჟიდ", „არმიაშკა" და „გრუზინ".

თქვენ კარგად იცით: ეს იყო ფილოსოფია მასაზრდოვებელი რუსთა კავშირი, ეს იყო ის, რითაც სწამლავდა თვითმპყრობელობის რეჟიმი რუსეთის დემოკრატიას. მათ იცოდნენ რას ამბობდნენ და რად ამბობდნენ. თუ მას შემდეგ, რაც ამნაირ პოლიტიკის მწარმოებლებს ასეთი მწარე ბედი ეწვია, მაშ შემდეგ, რაც ეს ბუმბერაზი სახელმწიფო დაინგრა და მას შემდეგ, რაც ერთი ამ დანგრევის მიზეზთაგანი ასეთი პოლიტიკა იყო—მე უნდა მოგახსენოთ, რომ არ მოველოდი ამ პატარა ნორჩ პარლამენტში, ამ ნორჩ ტრიბუნაზე გამოვიდოდა რომელიმე ფრაქციის წარმომადგენელი და იტყოდა: ყველაფერში დამნაშავენი არიან ოსები, სომხები და რუსებიო.

დღეს ნათლად დამტკიცდა რომ ეს ფრაქცია, რომლის წარმომადგენლისაგან ჩვენ მოგვესმა ეს სიტყვები—არის ჭეშმარიტად ჩამორჩენილთა და არა სახელმწიფოებრივ ნიადაგზე მდგარ ინტელიგენტების ჯგუფი. მე არ მეგონა, ის რაც თქვენმა ყურებმა ისმინეს, იმ სიტყვებს აქ წარმოსთქვამდა, ამ ფრაქციის წარმომადგენელი.

როდესაც ბატონ ვეშაპელს პირდაპირ დაუყენეს საკითხი, რა საბუთი გაქვთ, რომ ოსებს ჩირქი მოსცხოთ, რა საბუთის ძალით ამტკიცებთ, რომ მეთაურნი ამ აჯანყებისა იყვნენ ოსებიო, მან ბევრი უტრიალა ამ საკითხს და ბოლოს ასეთ ბრძნულ პოლიტიკით გაათავა: თუ ჩვენ გვსურს წესიერება და ბედნიერება ჩამოვარდეს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოში ჩვენ უნდა ავლაგმოთ ოსებიო.

აქ სხვებზედაც იყო ლაპარაკი და არ ვიცი რალა მარტო ოსები გამოდგნენ ასალაგმავი. მოქალაქენო! ნაციონალ დემოკრატების ფრაქცია დიდ ბედნიერებას მოგვაწვდის ხოლმე ასეთ შეკითხვებით, მაგრამ ერთი რამ თუ დამტკიცდება ხოლმე ამ შეკითხვებით—სახელდობრ ის, რომ ამ სახელმწიფოებრივ პარტიას არა ფაქტები არა აქვს. როდესაც ასეთ შეკითხვებით შემოდიან მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ ფაქტებს მოვთხოვთ, და აი როდესაც მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი აცხადებს რომ ამ შეკითხვას არა აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა,—ისინი არ ცდილობენ ანგარიში გაუწიონ ამ განცხადებას და ამ ტრიბუნას ამასხარავებენ (გ. ვეშაპელი. რას ჰყვირით) დამშვიდებით ლაპარაკი არავის არ შეუძლია, როდესაც თქვენ მთელ ერს ესვრით ტალახს. და როდესაც აქ ფრაქციის წარმომადგენელი ამბობს, რომ ოსობა იყო უმთავრესი ხელმძღვანელი და მომწყობი ამ აჯანყებისაო.

ნუ თუ არ იცით რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. თქვენ რომ ოსების წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მოითხოვთ, რას იტყვით მაშინ, თუ დამტკიცდა რომ ეს აჯანყება მოხდა უმთავრესად ქართველების მონაწილეობით? (ხმაურობა მარჯვნით, ქედს მოვიხრით! თავმჯდომარე ზარს რეკს). მე მგონია, რომ ბატონი ვეშაპელი კარგად ხედავს თუ რაშია საქმე, მაგრამ მხოლოდ მისთანა გულობრყვილო მოღვაწეებს და პოლიტიკანებს შეუძლიანთ სთქვან, რომ დანიშნეთ საპარლამენტო კომისია და მე აქედანვე გეტყვით, რომ მთავარი ბრალი ამ აჯანყებაში ოსებს დაედებათო. განა დიდი მტკიცება უნდა ბატონებო იმას, რომ ამ აჯანყებაში დიდი ბრალი მიუძღვით სერიოჟა ქავთარაძეს, ფილიპე მახარაძეს და სხვა მათ ამხანაგებს? (მიხ. მაჩაბელი. თავადობას კიდევ, რასაკვირველია:) დიახ! თავადებსაც, რადგან როდესაც წყალი იმღვრევა მათ იმედი ეძლევათ რომ წარსული დრო დაუბრუნდებათ.

მე მეგონა, რომ აქ დასახელებულ იქნებოდნენ ვინმე ხაჩატუროვი, ფედეროვები და სხვა რუსები—რომელნიც აგრეთვე ხელმძღვანელობდნენ მოძრაობას,—აქ კი დაიძახეს ჰკაოსობას-ო და მორჩა, გათავდა.

ბატონებო, თქვენ ხშირად გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ დარღვევა შეგვიძლიან მხოლოდ არაფერი კი არ გაგვიკეთებია. შეიძლება ბევრს არ ჰსურდეს დაინახოს ის, თუ რაც გავაკეთეთ, მაგრამ მაინც ღმერთმა გვაშოროს ისეთი გაკვეთილების მოსმენა, როგორიც დღეს მოვისმინეთ სახელმწიფოებრივ პარტიის ბელადის ბაგეთაგან. (სიცილი მარჯვნივ) აქ გაიძახით: ალაგმეთ რუსობა, ალაგმეთ სომხობა და სხვაო, მე გეკითხებით მაშინ ვინღა დარჩება? ნუთუ ვეშაპელი და რამდენიმე 20 ათასი ქართველი ააშენებენ საქართველოს? (ხმაურო და სიცილი მარჯნივ. ლომთათიძე მიმართავს თავმჯდომარეს). რომ არ მოსწყინდეს შეიძლება, მაგრამ ზრდილობაც კარგი საქონელია (თავმჯდომარე. ზარს რეკს. გთხოვთ დაიცვათ სიწყნარე. ბატონო ვეშაპელო უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას, ორატორს ხელს ნუ უშლით).

ჩვენ საქართველოს მოქალაქეებად ვაღიარეთ ყველა ისინი ვინც საქართველოში ითვლება მკვიდრად.

ბატონ ნაციონალ-დემოკრატებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ მაშინ. საქართველოს მოქალაქებად ითვლებიან, არა მარტო ქართველები, არამედ აქ მცხოვრები ოსებიც, რადგან თქვენ, ბატონებო, არავითარი საბუთი არა გაქვთ მათ ეს უფლება არ მიანიჭოთ. და აი ამავე დროს ასეთ რეცეპტებს იძლევა სახელმწიფოებრივ ნიადაგზე მდგარი პარტია.

განა შეიძლება საქართველოს აშენება ამ რეცეპტით? მე მგონია, რომ არ შეიძლება. და რატომ? ეხლავე მოგახსენებთ: რატომღაც ბატონმა ვეშაპელმა მარტო საჩხერეს ამბები გამოიტანა ტრიბუნაზე. მან დაივიწყა ცხინვალის ამბები, გორსა და თელავსა, ზუგდიდის და სენაკის მაზრაში რომ ამბები დატრიალდა და იქ სისხლი დაიღვარა. რატომ მარტო საჩხერის ამბებს შეეხეთ (ხმა მარჯვნიდან: მსოფლიო ომს შეხებოდა). ცხინვალში უფრო ადრე არ დაიღვარა სისხლი?

თუ თქვენ საერთო ხასიათი არ მიეცით, ალბად იმიტომ, რომ ცხინვალის ამბოხებაში მონაწილეობას იღებდნენ ტყვიავის, ტირძნისის, ნიქოზის და სხვა მახლობელ ქართულ სოფლების გლეხები. რატომ ამ აჯანყების შესახებ არ სთქვით, რომ უმეტესათ ოსები იღებდნენ მონაწილეობასო? (ვეშაპელი: მეთაურები). [illegible] ყველასათვის მისაღები იყო ის აზრი, რომ ოსობა კულტურულად უფრო ჩამორჩენილია ვიდრე ქართველობა. 1907 წ., როდესაც საშინელი რეაქცია გამეფდა, ჩვენში სტრაჟნიკებად ოსებს ნიშნავდნენ. ძველი მთავრობა ოსობაში ჰპოვებდა ამისათვის საუკეთესო ელემენტს. მაგრამ მიუხედავად ამისა აქ გვიმტკიცებდნენ, რომ ჩამორჩენილმა ოსის გლეხკაცობამ გავლენა იქონია ქართველ გლეხკაცებზე. ქართველი გლეხკაცობა, რომ უფრო მაღლა დგა ამას მტკიცება არ უნდა და წარმოუდგენელია, რომ ჩამორჩენილმა გლეხკაცობამ გავლენა იქონიოს. კულტურულად მაღლა მდგარ ქართველ გლეხკაცობაზე. მე მგონია ამის მტკიცება ერთგვარი დათვური სამსახურია. ქართველი გლეხკაცობა კულტურულად უფრო მაღლა სდგას ოსობაზე და თუ დღეს აჯანყებებში ქართველი გლეხები უფრო მეტ მონაწილეობას იღებდნენ,—ეს აიხსნება იმ საერთო მდგომარეობით, რომელსაც განიცდის დღეს საქართველო, ერთი მხრივ და მეორე მხრივ დღეს სოფელს დაეპატრონენ არა მკითხე პროვოკატორები და აი მათმა ქადაგებამ შესაფერი ნიადაგი გამონახა.

მაგრამ ამ აგიტაციაზე ამ პროვოკაციაზე ლაპარაკი აქ ზედმეტია.

(სიტყვის დასასრული შემდეგ ნომერში).

---

# პარლამენტის გარშემო

ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმი თხოვნით მიმართავს პარლამენტის წევრთა, რათა მათ ხელი შეუწყონ, დაჩქარებით მასალების მოწვდენით, საქვესტურო ნაწილის, პრეზიდიუმის მიერ მოწონებულ, განზრახვის განხორციელებას, რაიცა მდგომარეობს შემდეგში: საქვესტურო ნაწილს განზრახული აქვს ახლო მომავალში გამოსცეს ეროვნულ საბჭოს არსებულ შემადგენლობის სურათებით შევსებული „ცნობათა წიგნი", რისთვისაც აუცილებლად საჭიროა დაუყონებლივ წარმოდგენილ იქმნეს საბჭოს წევრთა მიერ შედგენილი მათი სრული ბიოგრაფია; სასურველია მათი ცხოვრების აღწერილობაში პასუხ მიცემული იყოს ქვემოთ აღნიშნული კითხვები და ცალკე ქაღალდზე გადაწერილი იგი დაუბრუნდეს ეროვნულ საბჭოს ქვესტორს ს ე რ. ჟ ო რ ჟ ო ლ ი ა ნ ს.

ვინც 10 ენკენისთვემდის არ წარმოადგენს ხსენებულ ცნობებს, „ცნობათა წიგნში" ისინი გამოტოვებული იქნებიან, რაც დიდ დანაკლისად ჩაითვლება წიგნის სისრულისთვის.

1. სახელი, მამის სახელი და გვარი.
2. ეროვნება.
3 პარტიული რწმენა.
4. დრო და ადგილი დაბადებისა.
5. პროფესია.
6. სად და რა განათლება მიუღია წევრს.
7. თბილისის ადრესი.
8. განვლილი ცხოვრების მთავარი ეტაპები: ძველ რეჟიმის დროს მოღვაწეობა, გადატანილი ადმინისტრატიული შევიწროვებანი, საზოგადო ან სამეცნიერო შრომების აღნიშვნა, თანამდებობის ჩამოთვლა და სხვა.

---

# „ს.-დ. და სახელმწიფო ორგანიზაცია"

ნ. ნ. ჟორდანიას მოხსენება

(ცოტაოდენი შემოკლებით)

სოციალ-დემოკრატიას პირველად საქართველოში ხვდა წილად სახელმწიფოს აღმშენებლობის როლი. ამდენ ხანს სოციალ-დემოკრატები მონაწილეობას იღებდენ მხოლოდ კანონების შემუშავებაში, ან როგორც სახელმწიფოს პატრონები გავლენას ახდენდენ კანონების შემუშავების დროს, მაგალითად ფინლიანდიაში და შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებში.

დაარსდა რამოდენიმე ახალი სახელმწიფო, მაგრამ ისინი შექმნა ბურჟუაზიულმა პარტიამ; სოციალ დემოკრატია მხოლოდ თავის მინიმალურ მოთხოვნილებებს ანხორციელებდა.

ჩვენ კი ვაშენებთ სახელმწიფოს არა კანონების გამოცემით, არამედ სისხლით. ჩვენი წითელი გვარდია, შეგნებული პარტიული ამხანაგები თბილისისა და პროვინციისა, უფრო კი თბილისისა, აი ნამდვილად ვინ იკისრა სახელმწიფოს აღმშენებლობის როლის შესრულება. უფლება გვაქვს ვიკითხოთ: რისთვის ან რომელი იდეალებისათვის ვღვრით სისხლს, რატომ ვმუშაობთ დაუღალავად საქართველოს სახელმწიფოს შემქნისათვის. იბადება კითხვა, როგორ უნდა შეუფარდოთ სოციალ-დემოკრატიული მსოფლ-მხედველობა ბურჟუაზიულ დაწესებულებების შექმნის მუშაობას, როგორი უნდა იყოს ჩვენი სამოქმედო გეგმა, რომ პარტია ამ პროცესსი დროს არ გადასცილდეს თავის ლიანდაგს და არ გადაიქცეს წვრილ ბურჟუაზიულ პარტიად.

გაზ. „სოციალ-დემოკრატში" მომუშავე ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები გვიკიჟინებენ, რომ ჩვენ ავცილდით ჭეშმარიტ გზას, რადგანაც ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ; ასეთი მსჯელობა არამც თუ სალად მოაზროვნე სოციალ-დემოკრატს, არამედ უბრალო გულწრფელ დემოკრატსაც კი არ ეპატიება.

მენგერის აზრით სახელმწიფო არის იმ ადამიანთა კრებული, რომლებიც ცხოვრობენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე და ჰყავთ ერთი საერთო მთავრობა. აქედან მხოლოდ სჩანს, რომ დამახასიათებელი ნიშანი ყოველგვარ სახელმწიფოსი არის მოსახლეობა, ტერიტორია და უფლება. მაგრამ ჩვენ, მარქსისტებმა, ვიცით, რომ სახელმწიფო აღმოცენდა საზოგადოების კლასებად დაყოფის ნიადაგზე და დაწესებულების სახით ჩვენ გვაქვს გაბატონებულ კლასების პოლიტიკური ორგანიზაცია. ასეთია ხასიათი სახელმწიფოსი. მასთან შეგვიძლია ვიქონიოთ ორგვარი დამოკიდებულება: ან სულ უნდა ჩამოვშორდეთ სახელმწიფოს, როგორც ამას შვრებიან ანარქისტები ან უნდა ვიცნოთ ის როგორც უსაჭიროესი ფაქტორი საზოგადოების განსავითარებლად. პროლეტარიატი სავსებით სდგას სოციალიზმის თვალთსაზრისზე და იბრძვის ამ ძალის ხელში ჩასაგდებად. ამ ხანად ჩვენ გვაქვს სახელმწიფოებრივი ძალა და საქართველოში სოციალური რევოლუცია გვექნება სახეში მხოლოდ როგორც მიზანი,

როგორც ისტორიული პერსპექტივა. ამ პერსპექტივით განსხვავდებით ჩვენ ყველა ბურჟუაზიულ პარტიებისაგან. ამიტომ ვიღებთ მონაწილეობას სახელმწიფო აღმშენებლობაში და მიზნათა გვაქვს საზოგადოების სოციალისტურ ნიადაგზე განახლება.

კაუცკი ამბობს, რომ პირველი ნაბიჯები ძლევა-მოსილი პროლეტარიატისა იქნება არა სოციალური განახლება, არამედ დემოკრატიულ დაწესებულებების განმტკიცება და ცხოვრებაში პროგრამა-მინიმუმის გატარება. მხოლოდ ზოგიერმა სოციალისტებმა მოინდომეს ისტორიული ნახტომის გაკეთება დ დემოკრატიული რევოლუცია სოციალურ რევოლუციათ ჩასთვალეს, როგორც ეს ჩაიდინეს საფრანგეთში 1848 წ. ბალშევიკებმა ერთი ნახტომით მოინდომეს სოციალიზმის სამეფოში შესვლა, დემოკრტიას გვერდი აუარეს, ისტორიულ აუცილებლობას არ გაუწიეს ანგირიში და ამისათვის დარჩნენ მოტყუებულნი, დამარცხებულნი და სოციალიზმის მჰგიერ ვანდალიზმის სამეფოში ამოყვეს თავი.

სახელმწიფოს თავის თავად მიზანი არა აქვს, მიზანს მას აძლევენ ის კლასები, რომლებსაც სახელმწიფოებრივი საჭე უჭირავთ ხელში.

ბალშევიკების შეცდომა კი იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ შეითვისეს ეს ელემენტარული ჭეშმარიტება და წარმოიდგინეს, რომ სახელმწიფოს შეიძლება თავს მოახვიო რომელიმე მიზანი და ისიც მას შეასრულებს. აი სწორედ ამ გაუგებრობამ გამოიწვია რუსეთის სახელმწიფოს დაშლა და საუკუნოებით დაგროვილი სიმდიდრის განიავება. და აი ჩვენ, საქართველოს სახელმწიფოს პატრონებმა უნდა როგორმე თავიდან ავიცილოთ ასეთი დამღუპველი წინაალმდეგობა, ისე კი რომ ოპორტიუნიზმში არ ჩავცვივდეთ.

თქმა არ უნდა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგალში ყოველივე სახელმწიფო ბურჟუაზიულ ინტერესებს ემსახურება. ამას თავიდან ვერაფრით ვერ აიცილებს საქართველოც—ეს უტოპია იქნება. მაგრამ სამაგიეროთ უტოპია კი არა რეალური შესაძლებლობაა მიზნათ აღვიაროთ ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც რამდენათაც შეიძლება ღარიბთა და ბოგანოთა კლასების ინტერესს დაიცავს. და სანამ ჩვენ სათავეში ვდგევართ ასეთი გეგმის განხორციელება იქნება ჩვენი მიზანი.

შეიძლება ამის განხორციელება? ვნახოთ სახელმწიფო იქმნება არსებულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებისაგან და იცვლება ამ დამოკიდებულების შეცვლის თანახმად. ეხლანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მდგომარეობა წააგავს დაუწერელ დაფას. ჩვენი სახელმწიფოებრივობა მოკვდა 100 წლის წინად, რუსულ სახელმწიფოებრივობაზე უარი ვთქვით, ამიტომ ჩვენ არაფრით არა ვართ შებოჭილი აღმაშენებლობის დროს, მაგრამ ეს მაინც იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენის ჯიუტობის მიხედვით შეგვიძლიან ავაშენოთ ის, რასაც მოვისურვებთ.

რევოლიუციამ სრულიად ჩაჰკლა, დროთა ვითარების გამო, ისედაც სუსტი საქართველოს თავად-აზნაურობა. ჩვენ არა გვყავს არც ძლიერი ბურჟუაზია, რომელსაც შეეძლოს ძალა-უფლების ხელში აღება და თავისი მიზნის თანახმათ შეჰქმნას ახალი სახელმწიფო. ეს კლასი იმდენათ სუსტია ჩვენში, რომ თავის ბუჟუაზიული პარტიაც კი ვერ შეჰქმნა. ჩვენებური ნაციონალ-დემოკრატები, რომელთაც ეს მისია მოიხვიეს თავზე, თავად-აზნაურობის პარტია გამოდგა. როგორც ხედავთ ეს ორი კლასი—თავადობა და ბურჟუაზია ქართულ საზოგადოებაში არ არის, ან თითქმის არ არის. მაშასადამე ჩვენში არ არის ნიადაგი არც რეაქციისთვის, არც რესტავრაციისა, ან მონარქიულ კონსტიტუციისათვის.

ქართველ ერს შეადგენს მრავალ-რიცხოვანი გლეხობა, რომლიდანაც 90 პროც. მცირე მესაკუთრენი არიან და იძულებულნი ხდებიან იჯარით აიღონ მიწა, ან სამუშაოდ გავიდნენ სოფლებიდან თავის „ბიუჯეტის შესავსებათ.

შემდეგ არის ქალაქის ეგრეთ წოდებული „მეშჩანები“, ან წვრილი ბურჟუაზია, შედარებით მრავალ-რიცხოვანი გლეხობიდან წარმოშობილი, რომელნიც გლეხობის ანტიპოლიტიკურ მისწრაფებას ატარებს.

დაბოლოს არის მუშათა კლასი, მართალია მცირე-რიცხოვანი, მაგრამ სამაგიეროთ არსებულ კლასებზე უფრო შეგნებული და დარაზმული.

როგორც რევოლიუციამდე, ისეც რევოლიუციის დროსაც მთელი გლეხობა და ნაწილი წვრილი ბურჟუაზიისა მას მისდევდა და მის გეგემონიას აღიარებდა.

ამ ნაირად ქართველ საზოგადოებას წარმოადგენს სამი დემოკრატიული კლასი: მუშები, გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია, რომელიც საძირკველია ქართულ სახელმწიფოს ასაშენებლათ.

(დასასრული იქნება).

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

27 აგვისტო

მოსკოვი, 25 აგვისტო. სემირეჩენის ფრონტზე საბჭოთა ჯარებმა ამოხოცეს 2000 ჩეხო-სლოვაკები. ასხაბადის ფრონტზე აიღეს სადგ. უჩხოჯი. სხვა ფრონტებზე მნიშვნელოვანი არაფერია. ყაზახთა და მენშევიკებს შორის მომხდარ უთანხმოების დროს ორენბურგში—დაატუსაღეს მენშევიკთა წინამძღოლები.

მოსკოვი, 26 აგვისტო. გერმანიაში გრძელდება სამთო მუშების გაფიცვა. ჩვენი ყოფილ მოკავშირეთა სახელმწიფოებში, საფრანგეთში და ინგლისში, რევოლიუციის ნიშნებია ხალხში. იტალიის მდგომარეობა გვაგონებს მის ძველ მოწინაალმდეგის—ავსტრიის მდგომარეობას. ისპანიაში მდგომარეობა დღითი დღე მწვავდება. ასეთივე დაღლილობის სურათს დაინახავთ ნეიტრალურ სახელმწიფოებში, სადაც ხდება დემონსტრაციები, რომლებიც იწვევენ პოლიციასთან შეტაკებას.

მოსკოვი, 26 აგვისტო. საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა პოლიტიკურად გამაგრებულია. ყველა ყრილობამ მოიწონა სახალხო კომისართა საბჭო და ცენტ. აღმ. კომიტეტი.

მოსკოვი. კონტრ-რევოლიუციის წინაალმდეგ სასტიკ ზომებს ღებულობს სრულიად რუსეთის არა ჩვეულებრივი კომისია, რომელმაც მოსკოვში დახვრიტა რამდენიმე გამოჩენილი მოღვაწე ჟანდარმთა სამმართველოსი, მის შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ ისინი მონაწილეობდნენ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებში.

28 აგვისტო.

მოსკოვში განზრახულია აუგონ ძეგლები: რევოლიუციისათვის დაღუპულ გმირებს, მოღვაწეებს, მწერლებს, პოეტებს, მეცნიერებს, ფილოსოფოსებს და მსახიობებს. მუშაობაში ღებულობენ მონაწილეობას ქ. მოსკოვის ყველა მოქანდაკეები. 2-3 თვის შემდეგ მოსკოვი დაინახავს მარქსის, ენგელსის, ბებელის, სტენკა რაზინის, დეკაბრისტების, პლეხანოვის, კალიაევის, შევჩენკოს, კოლცოვის, ნეკრასოვის, ვრუბელის, რიმსკი-კორსაკოვის, შოპენის, სკრიაბინის და სხვა ძეგლებს.

სულ გაკეთდება 61 ძეგლი.

მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმმა, მიიღო რა მხედველობაში სურსათის მხრივ აუტანელი მდგომარეობა, ნება დართო მუშებს და მშრომელ ხალხს ჩამოიტანონ მოსკოვში პირადი საჭიროებისათვის 1-2 ფუთი სურსათი. სპეკულიაციის წინაალმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

საბჭო ზომებს ღებულობს, რათა მუშებს საშუალება ექნესთ ჩამოტანილი ფქვილი საბჭოთა ფურნეებში გამოაცხონ.

1919 წლის 1 იანვრიდან რუსეთის რესპუბლიკაში შემოღებული იქნება საერთაშორისო მეტრიკული სისტემა ზომისა და წონისა.

ბერლინი, 27 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის და ბოინის ლაშქარი. არსის და სომას შუა ძლიერი ბრძოლაა. არსის აღმოსავლეთით მტერმა დაიწყო შეტევები სკარპის ორივე მხრით. მდინარის ჩრდილოეთით, მტრის შეტევებს წინაალმდეგობას უწევდა ჩვენი ცეცხლი. სკარპის სამხრეთით, ჩვენმა მოწინავე ჯარმა უკან დაიხია მონშამდის, მიღებულ ბრძანების თანახმად. აქ მტერს შეხვდა ჩვენი არტილერია. მკაცრი ბრძოლის შემდეგ, მტერი შემოიჭრა მონში-გემაპეში. ჩვენ გავრეკეთ მტერი ამ დაბის აღმოსავლეთ ნაწილში. მტერი ჯავშოსნებით განაგრძობდა ბაპომთან შეტევას. საღამოს ის გამაგრდა მაღლობზე. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ბენიატრი ჩვენს ხელში დარჩა. ბაპომის სამხრეთ დასავლეთით მტერი გამაგრდა ტილუაში და მარტინპიუშჩი. სხვა შეტევების დროს მტერი სრულიად დამარცხდა. იმათ მოგერებაში დიდ მონაწილეობას ღებულობდნენ პრუსიის, ბოვარიის დ საქსონიის ჯარები. ჩვენი ხაზების წინ და უკან ყრია მტრის დამსხრეული ჯავშოსნები. მარტინპიუშჩის სამხრეთით შემოიჭრა მტერი, რომელიც მალე მოვიგერიეთ, სომას და უაზას შუა, ბრძოლა გრძელდება ავრას ორივე მხრით. მდ. ენის ჩრდილოეთით შეტევის დროს, ჩვენ ხელთ ვიგდეთ ასი ტყვე.

ლეიტენანტებმა ლორცერმა, კონიოკმა, ბოლემ, ტხოიმ, ლაუმანმა, გრეიმ და ბლიუმემ ჰაერში ბრძოლის დროს გაიმარჯვეს.

პარიზი, 27 აგვისტო. სამხედრო ცნობა. ფრანგების ჯარებმა 4 კილომეტრით წინ წაიწიეს. მათ დაიჭირეს ხალია, ფრონსარი, კრემერი, გრუნი, კორეპუი, რუა, ხანსურტი დ კრაპომენილი. წამოიყვანეს ტყვეები. ლასინის მიდამოებიშ და უაზასა და ენის შუა ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა,

მოსკოვი, 27 აგვ. გარეშე საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა მიმართა გერმანიის კონსულს ოთხი ნოტით, რომელშიაც პროტესტს აცხადებს გერმანიის მთავრობის ნიკოლოზ ლეიხტენბერგთან კრასნოვის წარმომადგენელთან. მოლაპარაკებაზე. რუსის მთავრობა პროტესტს აცხადებს გერმანიის მთავრობის დონის მეამბოხეებთან დამოკიდებულებაზე. ჩიჩერინი პროტესტს აცხადებს აგრეთვე ყირიმის მთავრობის წარმომადგენელ ტატიშჩევთან მოლაპარაკებაზე. როგორც ყირიმის, აგრეთვე დონის მთავრობასთან დამოკიდებულებას, ჩიჩერინის ნოტის თანახმად, არ ექნებათ ადგილი, რადგანაც ყირიმიც და დონიც შედიან საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკაში. ჩიჩერინი პროტესტს აცხადებს აგრეთვე გერმანელ-უკრაინელთა მიერ სადემორკაციო ხაზის გადასვლაზე სოფ. ბოლშოე სალდატსკოესთან და მდ. სარატოვსკის ბოლოსთან.

მონარქიული „გოლოს კიევა“ გულახდილად ამბობს, რომ დამფუძნებელი კრების იდეა უნდა გამოვიყენოთ ბალშევიზმთან საბრძოლველ საშუალებად, ამის შემდეგ დამფუძნებელი კრების როლი შესრულებულად ჩაითვლება.

ბერლინი, 27 აგვისტო. საღამოს სამხედრო ცნობა. ინგლისელები და კანადელები ცდილობდნენ ფრონტის გარღვევას, მაგრამ მტერი ყველგან მოვიგერიეთ.

ვენა, 27 აგვ-სტო. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტის ბევრ ადგილას საარტილერიო ბრძოლაა.

ალბანიის ფრონტი. ალბანეთის ფრონტზე ჩვენმა ძლევა მოსილმა ჯარებმა მტრის დევნის დროს ბერახსთან დაიჭირეს მდ. ტომორიდალი ორივე მხრით. მიუხედავად ფრანგების ძლიერი წინაალმდეგობისა, ჩვენმა ჯარებმა აიღეს მტრის პოზიციები.

სტამბული, 27 აგვ. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ენერგიული საჰაერო ბრძოლაა. კერლას დასავლეთით და იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა.

ჩვენ დაგვრჩა რამდენიმე ტყვე. მეამბოხეთა შემოტევა ჩვენმა ჯარმა მოიგერა.

მაიდანთან, სპარსეთის საზღვარზე ჩვენ დავამარცხეთ ერთი ინგლისელთა სააგიტაციო რაზმი. რაზმის უფროსი მოკლულია.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

## უცხოეთი.

საფრანგეთი.

ჟენევიდან იუწყებიან, რომ პარიზში ერთ-ერთ ბანკეტზე ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტმა ვივიანმა სთქვა: „ჩვენ ვიომებთ გამარჯვებამდე. ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ გამარჯვებასთან და სიკვდილთან ჩვენ ვალდებულება მივიღეთ მათ წინაშეც ვინც დაიხოცა და მათ წინაშე ვინც დაიბადება. ჩვენ ვიომებთ გამარჯვებამდე იმიტომ, რომ გამოურკვეველი ომის დაბოლოვება მხოლოდ ანტრაქტი იქნებოდა ორ სასაკლაოთა შორის“.

—

იქიდანვე გაზ. „ჟურნალი“ ოფიციალურად იუწყება, რომ 20 აგვისტოს ღამით გერმანელ ჰაეროპლანებმა ქალაქ ნანსის ყუმბარები დაუშინეს.

—

ავსტრო-უნგრეთი.

ვენაში მყოფ ოსმალეთის საელჩოში 25 აგვისტოს მოხდა ბრესტ-ლიტოვის ზავის რატიფიკაციული საბუთების გაცვლა-გამოცვლა ოსმალეთისა, უკრაინისა და ფინლიანდიის შორის.

—

შორეული აღმოსავლეთი.

გერმანულ გაზეთების ცნობით 8 აგვისტოს ვლადივოსტოკში გადასხეს ინგლისის ჯარები. ინგლისის ელჩი ბიუკენენი იქ იმყოფება, რომელიც საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგ შეთანხმებათა სახელმწიფოების დიპლომატიურ მისიას აწარმოებს.

## ამონაწერი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან.

თბილისის საგუბერნიო № 2 ციხის სტამბა განთავისუფლდეს და დატოვებულ იქმნეს ციხეში, ხოლო მართვა-გამგეობა ამ სტამბისა, როგორც სახელმწიფო კუთვნილებისა, მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

—

ვასილ ჩხეიძეს ეპატიოს სასჯელის გადუხდელი ნაწილი და განთავისუფლებულ იქნეს ციხიდან.

—

მოხსენება იუსტიციის მინისტრისა სპეკულიაციასთან ბრძოლისა,—მოწონებულ იქმნეს.

—

გაგრძელებულ იქმნეს ამა წლის 1-ელ ოქტომბრამდე ვადა შემოსავალის კვალობაზე გადასახადების ფურცლების გაგზავნისა ქალ. სოხუმის მცხოვრებთათვის, ხოლო ამა წლის თხუთმეტ ნოემბრამდე ამ გადასახადის განსაჩივრების ვადა.

2) დაევალოს ქალ. სოხუმის მცხოვრებთ, რომელთაც ეს გადასახადი აწევთ, შეიტანონ ნახევარი ნაწილი მათ განცხადებაში ნაჩვენებ ამ გადასახადისა ფურცლების მიღებამდე, არა უგვიანეს ამა წლის 15 სექტემბრისა და დანარჩენი ნაწილი კი არა უგვიანეს ამავე წლის 31 დეკემბრისა, რომელი ვადაც უკანასკნელია იმათთვის, ვისაც განცხადებები არ წარუდგენიათ.

—

კონტრ-აგენტის მაზმანოვის და სხვათა თხოვნა უყურადღებოდ იქმნას დატოვებული.

—

აღიარებულ იქნეს, რომ მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება, თუ ეროვნული საბჭო საპარლამენტო კომისიას აირჩევს მართველობის მოხელეთა მოქმედების თვალ-ყურის სადევნელად და საკანტროლოდ.

# ახალი ამბები.

### მთავრობაში.

○ გზათა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1) შავი ქვის გადაზიდვის ტარიფი გადიდებულ იქმნას 57,6 კაპეიკამდე ფუთზე, რის შესახებ კანონ-პროექტი გადაცემულ იქმნეს ეროვნულ საბჭოში. 2) მიეცეს გზათა მიმოსვლის მინისტრს უფლება დანიშნოს კახეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე. 3) ამა წლის 10 სექტემბერიდან მოისპოს აფიცრების უფლება რკინის გზების მატარებლებში მესამე კლასის ბილეთით მეორე კლასის მოგზაურობის და მეორე კლასის ბილეთით პირველი კლასით მოგზაურობა.

○ მიწად მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მიეცეს ქალქთა კავშირის მომარაგების კომიტეტს თანხიდან ნახევარი იმ ფულისა, რომელიც საჭიროა ლაზარეთის № 33 მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად ორი თვისა და 20 დღის ჯამაგირები.

○ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა განუმარტა სამთო სამმართველოს რწმუნებულს, რომ საქართველოში ნავთის მწარმოებელთ ამა თუ იმ გარანტიის და საგანგებო შეღავათიან პირობების მიცემის საკითხი არსებითად განხილულ უნდა იქმნას ცალკ-ცალკე სათითაო მწარმოებლის თხოვნის და მიხედვით.

○ ფინანსთა სამინისტრო შეეკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაკმაყოფილებულ უნდა იქმნეს თუ არა შუამდგომლობა ადერბეიჯანის წარმომადგენლისა, რომელიც ლტოლვილთა განყოფილებისთვის თხოულობს 250,000 მანეთს.

○ შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქმნა მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს მოახდინოს ბიხოვის ლიტოგრაფიის კონფისკაცია.

○ მიენდო სამხედრო მინისტრს გამოაცხადოს საერთო განკარგულება სამხედრო ნივთებითი ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

### ხელოვნება.

○ ჰიმნთა შეჯიბრების დღე საბოლოოდ გამოირკვა. შეჯიბრება მოხდება კვირას, 1 სექტემბერს ქართულ კლუბის ბაღში, რომელიც უკვე საგანგებოდ ირთვება ამ დღისთვის. სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი ვაძლიერებულია 150-დე. გუნდს დირიჟერობას გაუწევს ნიკ. გ. ქართველიშვილი. არჩეულია საგანგებო ჟიური, რომელშიაც შედიან მთავრობის წარმომადგენელნი.

### ადმინისტრაცია.

○ საგანგებო რაზმმა კონტრ-რევოლიუციურ საქართველოს რესპუბლიკის წინაალმდეგ მოქმედებისთვის შეიპყრო თუმანიანი და ნაზარევიჩი და შლეზინკერი, რომელთაც მრავალი საბუთი აღმოაჩნდათ „ბალშევიკურ“ ხასიათისა. ისინი დაპატიმრებულნი იქმნენ.

○ საგანგებო რაზმმა შეიპყრო და დაატუსაღა სკუინი, რომელიც რუსულ ფულის, თავისუფალ სესხის და კუპონების სპეკულიაციას აწარმოებდა.

○ ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა მილიციის უფროსს მიიღოს სასტიკი ზომები რომ ყველა გასართობები: სინემატოგრაფები, კლუბები და კაფეები დახურულ იქმნეს სრულ 11 საათზე.

### სურსათი.

○ თფილისის ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილების ცნობით, კახეთში კოდი (3 ფუთი 10 გირ.). პური ღირს 300 მან. გლეხები არ ჰყიდიან პურს ფულზე, რომელიც მათ ძალიან ბევრი აქვთ. ფულის მაგივრად თხოულობენ საქონელს. საქონლის გაცვლას აწარმოებენ კერძო მყიდველები. საქონლით დატვირთული ვაგონები კი, რომელიც თვითმმართველობამ გაგზავნა პურზე გასაცვლელად, ჯერ სად. ნავთლუღს არ გასცილებიან.

○ გერმანიის დელეგაციამ მოაწყო უკრაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაში პურის ყიდვის საქმე. ამ პურის ნაწილი ჩამოტანილი იქნება საქართველოში გერმანელ ჯარების და მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

◯ მთავრობამ წინადადება მისცა გზათა სამინისტროს დაუყონებლივ დაიწყოს თიანეთის მაზრაში, ს. ილდოკანთან ნავთის გადამუშავება, რისთვისაც გადადებულია საჭირო თანხა.

## კრებები და საზოგადოებანი

◯ ქართულ იურიდიულ საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე არჩეულ საორგანიზაციო კომისიის კრება გაიმართება პარასკევს, მარიობისთვის 30-ს, საღამოს სწორედ $7^1/_2$ საათზე ნაფიც ვექილის გ. თ. ჟორდანიას ბინაზე (სასამართლოს ქუჩა, № 26). დასწრება კომისიის ყველა წევრებისა აუცილებელია. განსახილველია საბოლოოდ ქართულ იურიდიულ საზოგადოების წესდების პროექტი და გამოსარკვევია დღე ქართულ იურისტთა საზოგადო კრებისა და წესი მისი მოწვევისა.

### სასოფლო კომისიაში.

◯ სასოფლო კომისიამ დაადგინა: 1) წინადადება მიეცეს მიწად მოქმედების მინისტრს რათა გაიგზავნოს დუშეთის მაზრაში მიმღები კომისია. 2) ეთხოვოს საგამომძიებლო კომისიას, რომ ბნელი ძალები იქმნეს დაპატიმრებული ამ მაზრაში.

◯ 10 სექტემბერს ქ. დუშეთში დანიშნულია გლეხთა ყრილობა. სასოფლო კომისიამ საგუბერნიო საალმასრულებელო კომისიას, უნდა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამ ყრილობის მოსაწვევად.

### ლტოლვილნი.

◯ ფოთიდან რუსულ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი დეპეშით ატყობინებს: „ფოთში ამ ჟამად 1500 ლტოლვილი იმყოფება, რომელნიც რუსეთში აპირებენ წასვლას. ესენი მეტად გაჭირვებულ პირობებში არიან. იქ მრავალი გემი მოგროვდა, რომლებითაც ლტოლვილნი უნდა გაემგზავრონ. უკრაინის კომისარმა ფოთის ნავსადგურის უფროსს სთხოვა, რომ მის ნებადაურთველად მგზავრები არ მიიღონ გემებზე, რადგანაც საჭიროა უკრაინა არა სასურველ ელემენტებისაგან გაანთავისუფლონ.

◯ სომეხ ლტოლვილთა რწმუნებულმა დეპეშით სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს რომ 500 ლტოლვილი სომეხი, რომელნიც ალხან-გალმა არიან დაბანაკებულნი, დატოვებულ იქმნან თავის ალაგზე. მინისტრმა ნება დართო მათ დარჩენაზე.

◯ 27 აგვისტოს კავკავიდან თბილისში ჩამოვიდა რამდენიმე ფურგონი ლტოლვილებისა.

### რკინის გზაზე.

◯ კახეთის რკინის გზის გამგეობას განზრახვა აქვს კახეთის გზიდან შტო გაიყვანოს სოფ. ახმეტამდე, 25 ვერსის მანძილზე. შტო დაიწყება თელავიდან. რკინის გზის გამგეობას უკვე მზადა აქვს ტეხნიკური და ეკონომიური მოხსენებანი ამ საქმისთვის.

### ხოლერა.

◯ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 9 ხოლერიანი და 4 საეჭვო ავადმყოფი. სახოლერო განყოფილებაში გადაიყვანეს 3. მორჩა და გამოეწერა ერთი. გარდაიცვალა 6 ხოლერიანი. 27 აგვისტოს იყო 83 ხოლერიანი და 12 საეჭვო ავადმყოფი.

◯ საექიმო-სასანიტარო საბჭომ, ხოლერის გავრცელების გამო, საჭიროთ იცნო გადიდდეს შაქრის რაციონი და უფასოდ მიეცეს ხალხს მოხარშული წყალი.

### სხვა და სხვა ამბები.

◯ პეტერბურგიდან ამ დღეებში მოვიდა წერილი დ. ლ. მალალაშვილისაგან რომ იქაური ქართველობა კარგად გრძნობს თავს. შემდგარა კომიტეტი, რომელიც დიდ ენერგიას იჩენს ყოფილ „პეტ. ვედ.“ რედაქტორის ა. ნ. ჩერქეზიშვილის ინიციატორობით. ქართველთა კომიტეტს კარგი განწყობილება ჰქონია ადგილობრივ მთავრობასთან.

◯ ხრესილიდან, (რაჭის მაზრა), იტყობინებიან, რომ ოსეთის ეროვნული საბჭო ადგენს რაზმს, რომელმაც უნდა აჰყაროს იარაღი ლეჩხუმის მაზრაში მცხოვრებ ოსებს.

◯ ამ დღეებში მიემგზავრება ერევანს გერმანიის დელეგაცი-ს უფროსი გენ. ფონ-კრესი.

◯ გერმანიის სამხედრო მისიამ აღადგინა გემით წესიერი მიმოსვლა ფოთსა და სევასტოპოლს შუა. ფოთიდან გემი გავა ოთხშაბათობით, სევასტოპოლიდან გამოვა კვირაობით.

◯ საქართველოში სომეხთა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში არჩეული არიან: ა. ტატევოსიანი, ე. კარაჯიანი, ლ. თუმანიანი და ს. არუტიუნიანი. აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები გადადებულია.

## კავკავის ამბები.

კავკავიდან გამოქცეულმა შემდეგი გვიამბო: რამდენიმე დღეა სასტიკი ბრძოლაა ბოლშევიკებსა, ყაზახებსა და ინგუშებს შორის. უკანასკნელ დღეებში ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო, რომელიც ბოლშევიკების სასარგებლოდ დამთავრდა. დიდი მსხვერპლის შემდეგ ყაზახები განდევნილ იქმნენ ქალაქიდან. ქალაქის საერთო სურათი საშინელ სანახაობას წარმოადგენს. ქალაქის დიდი ნაწილი ცეცხლმა შთანთქა. უდანაშაულო მცხოვრებთა გვამების აკრებას ვერ აუდიან. გაძარცულ განადგურებულია მოქალაქეთა ავლადიდება. ოდნავ ბრძოლის შეჩერების შემდეგ თბილისისაკენ დაიძრა ტალღა ლტოლვილებისა, მაგრამ ყველანი ყაჩაღების მსხვერპლნი გახდნენ. ნივთებით სავსე ფურგუნებთან ერთად წაიღეს უკანასკნელი ტანთსაცმელიც-კი. ყაზბეგთან დაგვიხვდა ქართველ-გერმანელთა ჯარები. მათ; ყაზბეგი და დარიალის ხეობა გამაგრებული აქვთ.

## რა ხდება ზუგდიდის მაზრაში.

(დასასრული).

მოწოდებაში გუბერნიის კომისარი უცხადებდა ზუგდიდის მაზრის მცხოვრებთ სხვათა შორის შემდეგს:

1) იმ ყოფილ ჯარის კაცთ და აგრეთვე საზოგადოების წევრთ, რომლებიც დანიშნულ ვადაზე თავისი სურვილით გამოცხადდებიან და ჩააბარებენ მთავრობას იარაღს, მიუხედავად მათი პოლიტიკური რწმენისა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ ჩადენილი წარსული დანაშაული ეპატიებათ.

2) ყოფილ ყაჩაღთ, რომლებიც მთავრობას გამოეცხადებიან და იარაღს ჩააბარებენ, რომლებიც დაადგებიან გასწორების გზას დ შეუდგებიან მშვიდობიან მოქალაქეობრივ ცხოვრებას, და რომელთა თავდებობასა და პასუხის მგებლობას მთავრობის წინაშე მთელი საზოგადოება იკისრებს, დღემდის ჩადენილი დანაშაული ეპატიებათ.

3) როდესაც მთელს მაზრაში ხალხი მთავრობას ჩააბარებს იარაღს და შეასრულებს მის მოთხოვნილებას, მთავრობა გაანთავისუფლებს ზუგდიდის მაზრის ყველა იმ პირთ, რომლებიც ზუგდიდის მაზრაში რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებაში იღებდნენ მონაწილეობას.

4) მთავრობა პასუხის გებაში მისცემს ყველა იმ პირთ, რომელთა უკანონო მოქმედებამ ხელი შეუწყო საქ. დემოკრატიულ მთავრობასა და ხალხთა შორის უთანხმოების ჩამოგდებას.

5) როდესაც მაზრაში დამყარდება მშვიდობიანი ცხოვრება, მაშინ დაინიშნება კომისია უდანაშაულო პირებზე მთავრობის ჯარის ან მოხელეების მიერ უსაფუძვლოთ მიყენებული ზარალის გამოსარკვევად და შემდეგ ამისა საგუბერნიო მთავრობა შუამდგომლობას აღძრავს უმაღლესი მთავრობის წინაშე მის ანაზღაურების შესახებ.

კომისიამ გამოუცხადა მაზრის სოფლების საზოგადოებათა კრებას ნარაზენში, რომელსაც დაესწრო 4 ათას კაცამდე. ხალხის წარმომადგენელთაგან წინდაწინ მიღებულ პირობას დიდი ლაპარაკი არ ეჭირვებოდა და კრებას ზავზე ხელი უნდა მოეწერა, მაგრამ 4 ათას კაცში რა არ ითქმის და რა აგიტაციას არ გასწევს კაცი. ერთს კრების წევრს უნდა ეთქვას: სანამ სოფლის საზოგადოება არ მოახდენს ახალ არჩევნებს, იარაღს ჩვენ ვერ დავყრით, რომ მოტყუებული არ დავრჩეთ. ამ კაცისთვის ბანი უნდა მიეცათ სამურზაყანოდან გადმოსულ პირებს, რომელთაც სწამებდნენ სვიმონ თოლორდავას მოძღვრებით ლაპარაკს (თოლორდავას კამისიის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია) და ზავზე ხელის მოწერა არ შესდგა. ამდენი შრომა მოწინავე საზოგადოებისა და მთავრობისა დაიღუპა ვიღაც უცნობი პირის განუსჯელის სხარტულის ლაპარაკით.

ამ საქმის გამო სვიმონ თოლორდავა, ერთ ხანს ყოვლის შემდეგ წარმომადგენელი გლეხთა რჩევისა, განსაკუთრებულის უფლებით აღჭურვილი, თითქმის დიქტატორი, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ზუგდიდის მაზრაში გავრცელებული ძარცვა-გლეჯის აღაგმვა და 400 კაცის თანხლებით შევიდასთან ვაი-ვუი შეჰქონდა იმ სოფლებში, სადაც ეგულებოდა ყაჩაღების ბუდე, დღეს დაჭერილია და ზუგდიდის ციხეში ეძლევა ფიქრს: რამდენად ფუჭი და ცვალებადია ამა სოფლის ბედნიერება და დიდება. ის არ მალავს, რომ კრების წინა დღეებში ყოფილა ენგურს გაღმა, სამურზაყანოში და მაუდი ჩემინავას თხოვნით ვითომ უქადაგნია მცხოვრებთათვის არა ზავის წინააღმდეგობა, არამედ ზავის საჭიროება, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ მის ლაპარაკს რწმენა არ მისცა და ის დაატუსაღა.

ამას მოჰყვა ახალი გაძლიერება მოძრაობისა ორივეს მხრით. 1 აგვისტოს „ბოლშევიკებმა“ ვერაგულად გაიწვიეს ზუგდიდის განაპირას ზუგდიდის მაზრის კამისარი ივ. ბაძალუა ვითომ და შერიგებაზე მოსალაპარაკებლად და დაატყვევეს. მერე ისინი მიაწვნენ სენაკის გზას დ დაეცნენ ხობს, სადაც ზუგდიდის მცირე რაზმიდამ 24 ივლისს გაიგზავნა მეოთხე როტა პრაპ. ჯუღელისა 2 ტყვიის მფრქვეველით. ეს რაზმი ამაგრებდა ხობს, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო რაზმი იძულებული შეიქმნა 8 აგვისტოს გაერღვია ფრონტი გარშემო მდგომარე მტრისა და დაწეულიყო ქვალონისკენ. ამათ რომ დასცალეს ხობი, დაბაში შეიჭრნენ ბოლშევიკები და ეს მცირე სავაჭრო პუნქტი აიკლეს. ჯერ კიდევ ამათ ფეხი არ მოეკიდათ აქ, როცა მუნჩაიდამ მოისმა ხმა ზუგდიდიდამ საშველად გამოგზავნილის ჯარისა, რომელსაც წინამძღოლობდა ზუგდიდის ჯარის შტაბის უფროსი შავიშვილი. როცა ეს მოუახლოვდა ხობს „ბოლშევიკებმა“ დასცალეს დაბა და გზის პატრონობა ისევ მთავრობის ხელში გადავიდა, მაგრამ სხვა და სხვა მოსაზრებით ჯარი ხობში არ გაჩერდა და 9 აგვ. ისევ ზუგდიდს დაბრუნდა.

16 აგვისტოს ხელ-ახლა გაიმართა ლაპარაკი ზავზე, ამ ჟამად სენაკში, სადაც მოეიდნენ „ბოლშევიკების“ წარმომადგენელნი და მათთან ერთად ტყვედ წაყვანილი ზუგდიდის კამისარი ბაძალუა. საფუძველი ზავისა იგივე არის, რაც ივლისის მოლაპარაკებაში. სოფლის საზოგადოებამ ყველგან უნდა აირჩიოს სოფლის კამისარები და ხუთ-ხუთი მილიციონერები, ნასალდათარი. მაზრის და რაიონის კომისრებს, კანონისამებრ ნიშნავს გუბერნიის კომისარი. მაზრის მცხოვრებთ ეძლევათ ნება, რომ წარუდგინონ გუბერნიის კომისარს თვისი კანდიდატები ამ თანამდებობაზე. ამის პასუხი უნდა წარმოუდგინონ გუბერნიის კომისარს ერთი კვირის განმავლობაში. იმედია, რომ ამ ახალ მოლაპარაკებას კეთილი ბოლო ექნება, რადგანაც ხალხი დაიღალა და ნორმალური ცხოვრება მაზრაში კაი ხანია შეჩერებულია.

მოძრაობის მიზეზით:

ერთი თვეა ზუგდიდში ფოშტა არ დადის.

ორი კვირაა სენაკსა და ზუგდიდს შორის ტელეგრაფი არ მუშაობს. ინდო-ევროპიული ტელეგრაფი დაზიანებულია, მავთულები დაწყვეტილი, თუჯის ბოძები წაქცეული და ზოგან სტვიჩკასავით გადამტვრეული. კამეჩები თურმე შეუბამთ ბოძებისთვის და ისე უქცევიათ.

ზუგდიდში სოფლებიდან სანოვაგე არ შემოდის.

პარასკევის და კვირის ბაზრები გაუქმებულია.

სასურსათო საქმის მოუწყობლობით ზუგდიდში მდგომი ჯარის-კაცები და მფრინავი რაზმები არიან დიდად დაბრკოლებულნი. რომ საჭმელი შემოელევათ ჯარის-კაცებს, იმათ გზავნიან მახლობელ სოფლებში სიმიდის საყიდლად. და ამ წასვლაში მოსდით შეტაკება ბოლშევიკებთან. ასე ამგვარად ჯარის ნაწილები იყვნენ გაგზავნილნი ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვეველებით 20 ივლის, 13 და 15 აგვისტოს. 13 აგვისტოს 30 ფუთი სიმინდი მოიტანეს და ეს მცირე სურსათი ერთობ ძვირად დაუჯდა ჯარს, რადგანაც დიდის სროლით დასრულდა მათი სოფელში წასვლა. მსგავსადვე ძვირად დაჯდა სურსათის შეძენა 15 ამ თვეს. ამ დღეს ჯარი წავიდა კახათს და გზაზე დიდძალი შეიარაღებული კაცები დაუხვდათ. სროლაში ერთი ჯარის-კაცი იქმნა მოკლული და რამდენიმე დაჭრილი.

სენაკ-ზუგდიდის გზაზე დილეჟნებზე ფაიტონებზე და ურმებზე თავ-დასხმა და ძარცვა, ცხენების წართმევა ხშირია. ამას წინათ ზუგდიდის ვაჭრის ჩხეიძის ათ ურემს, ღვინით დატვირთულს, მოსდეს ხელი, გადაახვევინეს ზუგდიდის გზიდამ, მიიყვანეს მეუმრავლესეთა ბანაკში, დააჯარიმეს 2 ათასი მანეთით და ერთი თუ ორი ტიკი ღვინით, დალიეს ღვინის პატრონის სადღეგრძელო და გაისტუმრეს დანიშნულებისამებრ.

იტყვიან: რატომ ზუგდიდში გაგზავნილ ჯარმა ამდენ ხანს ბოლო ვერ მოუღო ზუგდიდის ამბოხებასო. ხალხის ამბოხების ჩაქრობა არც ისე ადვილია, როგორც ფიქრობენ, მეტადრე ზუგდიდის მაზრაში, რომელსაც 150 ათასი მცხოვრები ჰყავს და ტყიან-მთიანი ტერრიტორია თვალუწვდენელი აქვს. ვის არ ახსოვს, რომ ამ 20 წლის წინად, დონდუკოვ-კარსაკოვის დროს, ერთი ყაჩაღის ქიარიმის დაჭერა ისე გაჭირდა, რომ ბოლოს იძულებულნი შეიქმნენ გაეგზავნათ იმის წინააღმდეგ დივიზიის უფროსი, მაგრამ ვერც იმან უშველა საქმეს, სანამ ყაჩაღი თავისი ნებით თითონ არ გადაბრძანდა სპარსეთში.

იმედია, როცა მშველელი ჯარი მოვა ზუგდიდს, ამბოხება თავისთავად, სისხლ-დაუღვრელად ჩაქრება თუ მანამდის ბოლშევიკებმა, თანახმად მათის უკანასკნელის განცხადებისა, საქმე მორიგებით არ გაათავეს.

მოამბე.

## სწავლა-განათლების მოწყობის საქმე.

(მასალა საკითხისათვის)

I.

როდესაც საქართველო შეადგენდა რუსეთის განუყრელ ნაწილს, მოქმედება მისი შებორკილი იყო. დღეს, როდესაც ხელის შემშლელი არავინ გვყავს, როდესაც „ჩვენი თავი ჩვენვე გვეუფლის“, გვმართებს დიდი სიფრთხილე და უნარი, რომ „თანასწორთა შორის“ უკანასკნელი არ შევიქმნეთ.

ყველასათვის აშკარაა, რომ ამ ჟამად ჩვენი ხალხი განათლებულ ერებს ჩამორჩენილია კულტურულად, პოლიტიკურად, ეკონომიურად, ერთი სიტყვით, რა მხრითაც გინდათ. თუ გვსურს ქართველი ერის კეთილ-დღეობა და წინსვლა, მისი მოლონიერება და მომავლის უზრუნველყოფა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ეკონომიკის და სწავლა-განათლების საკითხებს. უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოების უმეცრება, შეუგნებლობა და სიბრიყვე იქცევა წყაროდ სილატაკისა, უძლურებისა, სიმახინჯისა, დაკნინებისა და დაცემისა; და პირიქით, სწავლა-განათლებას მიჰყავს ხალხი ნივთიერ, გონებრივ და ზნეობრივ ამაღლებისაკენ, წარმატებისა და ბედნიერებისაკენ.

სამწუხაროდ, სწავლა-განათლების საქმე ჩვენში სასურველად მოწესრიგებული არ არის და თხოულობს დიდ ყურადღებას და სასწრაფო ზომებს რეორგანიზაციისათვის.

უპირველესად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ჩვენში სულ ახლო მომავალში წერა-კითხვის უცოდინარნი აღარ მოიპოვებოდნენ. ამისათვის საჭიროა შემოვიღოთ საყოველთაო სწავლა-განათლება ბავშვთათვის და მოზრდილთათვის კი გავხსნათ საღამოს კურსები, საკვირაო სკოლები და სხვ.

საყოველთაო სწავლა-განათლება სავალდებულო უნდა იყოს დაბალი სკოლის და მისი დამატებითი კურსების დასრულებამდე.

მხოლოდ რა ტიპის უნდა იყოს დაბალი სკოლა, რა მიზანს უნდა ისახავდეს? უნდა ემსახურებოდეს ის ადამიანის მომზადებას, მისი ბუნებრივი ნიჭის განვითარებას და ზოგად განათლებას, თუ ისახავდეს რაიმე პრაქტიკულ მიზნებს, მაგ. პროფესიონალურ და ტეხნიკურ ცოდნის გადაცემას?

— განათლებულ ქვეყნების ცდამ და დაკვირვებამ ნათლად დაამტკიცა დაბალ სკოლებისთვის პროფესიონალური ან რაიმე სპეციალური ცოდნის დავალების უნიადაგობა და უნაყოფობა. აღმოჩნდა, რომ შეუძლებელია და უსარგებლო პატარა ბავშვს თავიდანვე წინასწარ განზრახულ მიზნით რომელიმე სპეციალური ცოდნის შესწავლა დავაწყებინოთ.

სრულიად რუსეთის სწავლა-განათლების მოღვაწეთა უკანასკნელ ყრილობაზე სახალხო სკოლების შესახებ დაადგინეს: „დასაწყისი სკოლა, როგორც პირველი საფეხური ერთიანი ზოგადი განვითარების სკოლისა არ უნდა მისდევდეს სარგებლიანობის მიზანს და მის კურსში ადგილი არ უნდა ჰქონდეს პროფესიონალურ, ტეხნიკურ ხასიათის საგნებს“.

ყოველი სპეციალისტი, რომ გახდეს თავისი სამშობლოს ღირსეულ მოქალაქედ, უნდა იყოს გონებრივად და ზნეობრივად განვითარებული ადამიანი, რაც შესაძლებელია მხოლოდ ფართო ზოგადი განათლების მიღებით, რომელიც ადამიანს ყოველმხრივი წარმატებისაკენ გზას უკაფავს. სკოლამ თავდაპირველად უნდა დაისახოს მიზნად მოწაფის ყველა სულიერი ნიჭის ჰარმონიულად და მიზანშეწონილად განვითარება.

როგორი უნდა იყოს სწავლება?

ვისაც ბავშვის სულიერი ცხოვრება შეუსწავლია, აუცილებლად შენიშნავდა მასში დამარხულ შემოქმედებითი ძალას. ბავშვის თვისება გამოიხატება ცოცხალ მოქმედებაში, მოძრაობაში, სინჯვაში, დაკვირვებაში, გამოკვლევაში, შემოქმედებაში... და სწორედ სწავლება ისეთი უნდა იყოს, რომელიც შეგუებული იქნება ბავშვის სულიერ ცხოვრებასთან, ხელის შემწყობი და დამხმარე ბავშვის აქტიურ მხარის და შემოქმედებითი ნიჭის განვითარების.

ბავშვის ოთხ კედლის შუა გამომწყვდევა, როგორც ეს ამდენხანს ხდებოდა, სწორედ ამ თვისებების განვითარებას ხელს უშლის. რომ სწავლება ნაყოფიერი იყოს, ის უნდა წარმოებდეს არა მარტო წიგნებისა და სიტყვების, არამედ კიდევ პრაქტიკული ცდის საშუალებით, ე. ი. წიგნური სწავლება შეერთებული უნდა იყოს პრაქტიკულ ცდასთან და მუშაობასთან. სკოლასთან უნდა არსებობდეს სახელოსნო, ლაბორატორია, საფეიქრო, სამზარეულო, სამხატვრო დარბაზი, ბაღი, ბოსტანი, სამუსიკო კლასი და სხვ., სადაც ყველა ბავშვი იპოვნის მის ბუნებასთან შესაფერ და საინტერესო სამუშაოს, სადაც ბავშვს შეძლება მიეცემა მხედველობითი და მსმენელობითი შთაბეჭდილებას დაუმატოს შთაბეჭდილება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ადამიანი საგნის შეხებით ღებულობს. მხოლოდ ასეთი სწავლით შეეჩვევა ბავშვი დაკვირვებას, შედარებას, მსჯელობას, დამოუკიდებელ მოქმედებას, მოთმინებას, ბეჯითობას... მხოლოდ აქ იგრძნობს კვლევა-ძიების და აღმოჩენის ყოველგვარ სიამოვნებას... მხოლოდ ასეთი სწავლა-განათლება გამოიღებს დიდ ნაყოფს. მხოლოდ ამ წესით შეეჩვევა მოზარდი თაობა შრომას და, სადაც შრომაა გამეფებული, იქ განათლებაც წარმატებაშია და ხალხიც დაწინაურებული და უზრუნველყოფილი.

სკოლების განახლება უნდა მოხდეს, რასაკვირველია ეროვნულ ნიადაგზე; ბავშვმა სწავლა უნდა დაიწყოს აუცილებლად მშობლიურ ენაზე. დიდ ჯალათობად და ველურობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამდენხანს 6—7 წლის ბავშვს გაკვეთილებს უცხო ენაზე თუთიყუშივით გვაზეპირებინებდნენ. „დედა-ენა ყველაზე უფრო ბუნებრივია არა მარტო ზნეობრივი მოტივებით, არამედ მემკვიდრეობით, წინად განწყობილების ძალითაც, რომელიც გადადის შთამომავლობიდან შთამომავლობაზე და დედა-ენას ჰქმნის ფიზიოლოგიურად მახლობლად და ამიტომ უფრო ადვილ შესათვისებლად“. (პროფ. სიკორსკი) ცნობილი უშინსკის სიტყვებით—„ბავშვი არ სწავლობს დედა-ენას, როგორც უბრალო ნიშნებს და სიტყვებს, ის სწოვს სულიერ ცხოვრებას დედა-ენის მკვებავ ძუძუდან; იგი უმარტავს მას ბუნებას ისე, როგორც ვერც ერთი მეცნიერი ვერ განუმარტავდა; იგი აცნობს მას ადამიანის ხასიათს, ხალხსა, საზოგადოებას, მის ისტორიას, მის მისწრაფებას ისე, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ გააცნობდა; იგი უხსნის მას ხალხის რწმენას და მის პოეზიას ისე, როგორც ვერც ერთი ესთეთიკოსი ვერ აუხსნიდა; ბოლოს, დედა-ენა ისეთ ნათელსა ჰფენს მის მსჯელობას და ფილოსოფიურ შეხედულებას, როგორც ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ მოჰფენდა“.

აი, რა დიად საუნჯეს ვიყავით ჩვენ ამდენხანს მოწყვეტილი.

სკოლის განახლების დროს უნდა დავეყრდნოთ გამოჩენილ პედაგოგების დაკვირვებას და გამოკვლევას. ამის მიხედვით უნდა უარვყოთ უცხო ენების ადრე სწავლება.

განახლებულ სკოლაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ჰიგიენურ მხარეს და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხს. შრომის სკოლებში ბავშვი 5—6 საათის განმავლობაში არ იქნება გამოწყვდეული დახუთულ ჰაერში, რაც იწვევდა მათ დაკნინებას, დასუსტებას და ავადმყოფობასაც კი. გონებრივი და ფიზიკური განვითარება ერთი მეორის შეთანხმებულად უნდა სწარმოებდეს, ვინაიდან რომაელების თქმისა არ იყოს „ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულშია“.

ამ პრინციპთა განხორციელების შემდეგ ადგილი არ ექმნება იმ სიმახინჯეს, რომელიც ამდენხანს გამეფებული იყო სწავლა-აღზრდის საქმეში. კარგად მოგეხსენებათ, რომ ხშირად ჩვენში მშობლები სამეურნეო ან ტეხნიკურ სასწავლებელში შვილების მიბარების წინააღმდეგი იყვნენ, რადგან ბარ-ჩაქუჩთან საქმის დაჭერა და საზოგადოდ ეგრედ წოდებული „შავი მუშაობა“ ზედმეტად და სათაკილოთაც კი მიაჩნდათ. არც მშობლები შვილებს, არც მოსწავლე ახალგაზრდანი თავის თავს არ ეკითხებოდენ, თუ რაში იჩენენ ნიჭს, უნარს, რა უფრო უყვართ, ეადვილებათ, თუ საითკენ არის მიმართული მათი სულისკვეთება, მისწრაფება, აღფრთოვანება.

ინჟ. გ. კაკაბაძე

## როგორ უნდა იყოს მოწყობილი მკურნალობა და სანიტარული საქმე მომავალ ერობაში.

ჩვენი დაბა-სოფლები ნამეტნავად ანტიგიგიენურ მდგომარეობაში იმყოფებიან და ამიტომ ჩვენში საზოგადო გიგიენური წესების გატარება ხალხის ჯანმრთელობისათვის უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენს.

ბევრი ჩვენი ქალაქი და დაბა-სოფელი ჭაობიან ადგილებში მდებარეობენ. სახლები და კარ მიდამოები ნეხვით და ნაგვით არიან სავსენი. ხშირად ჩვენ სოფლებში შინაური ცხოველები და ხალხი ერთ და იმავე ბინაში სცხოვრობენ. მიწური სახლები ქართლ-კახეთის სოფლებში ჯერ ისევ ჩვეულებრივი მოვლენაა. იმერეთში და სამეგრელოში ფიცრული სახლებია, რომელშიაც ქარი ჰბერავს ყოველ მხრივ.

უდიდეს ნაკლულევანებას ჩვენი დაბა-სოფლებისას შეადგენს ის, რომ აბანოები არსად არ არიან. არამც თუ დაბა-სოფლებისთვის, ბევრი ჩვენი სამაზრო ქალაქებისათვისაც კი აბანო ახალი ხილია. ჩვენი დაბა-სოფლების მცხოვრებნი წლობით და ათი წლობით ტანდაუბანელნი არიან. საშინელი ანტიგიგიენურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე საცვლების გაურეცხაობა. ბევრი ჩვენი სოფლელი მცხოვრები საცვალს რომ ჩაიცვამს, ისე გასცვეთს, რომ არ გარეცხოს.

ექიმები და აფთიაქები ძრიელ ცოტანი არიან ჩვენ დაბა სოფლებში. მაშინ როდესაც ქ. თბილისში ათობით დ ოცობით ითვლება უადგილო ექიმები, ჩვენ დიდ სოფლებში, დაბებში და სამაზრო ქალაქებშიაც კი ექიმები არ არიან. ეს აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ ჩვენს ექიმებს უნდათ უსათუოდ თბილისში მოკალათება და მეორეს მხრივ იმით რომ საექიმო საქმე ჩვენ პროვინციებში მოუწყობელია და ექიმებისათვის იქ ცხოვრება შეუძლებელია.

სანიტარული ექიმები ეხლაც უნდა იყვნენ მოწვეულნი ჩვენი დაბა სოფლების სანიტარულის მხრივ შესასწავლათ, მხოლოდ დროებით ამათვე უნდა აწარმოვონ გადამდებ სენთან ბრძოლა. ამ ექიმებს ბინადრობა უნდა ჰქონდეს სამაზრო ქალაქებში და აქედან ხშირათ უნდა დაიარებოდენ სოფლებში ამა თუ იმ სანიტარული საგნის გამოსაკვლევათ და თუ ვინიცობაა სადმე გაჩნდა რაიმე გადამდები სენი, იმის ჩასაქრობ ზომების მისაღებათ. ესევე ექიმები უნდა აგროვებდნენ და ამუშავებდნენ საუბნო ქსენონების საექიმო სტატისტიკას. ამისათვის მათი მეთაურობით სამაზრო ერობის გამგეობასთან უნდა არსებობდეს ესრედ წოდებული საექიმო სტატისტიკური ბიურო, სადაც ერთი ან ორი საშუალო საექიმო პირი ტეხნიკურად უნდა ეხმარებოდეს ბიუროს გამგე ექიმს ამ საქმეში.

სამაზრო სანიტარულ ექიმის მოვალეობას შეადგენს სავალდებულო სანიტარულ დადგენილებათა შედგენა; კოლექტიურ საექიმო დაწესებულებაში მათი განხილვა და ცხოვრებაში გატარება. ეს სავალდებულო დადგენილებანი უნდა ეხებოდნენ: ჰაერის და ნიადაგის სუფთათ შენახვას, ქარხნების და სავაჭრო დაწესებულებათა გიგიენას, საჭმელ-სასმელის ზედამხედველობას, ბინების და შრომის გიგიენას, სასწავლებლის და მოწაფეთა გიგიენას და სხვათა.

სანიტარულ ექიმის მოვალეობას შეადგენს ხალხში გიგიენურ ცნობათა გავრცელებას სიტყვით და ბეჭდვით.

ათაშანგის ანუ სიფილისის მკურნალობა როგორც ქსენონებში ისე სამაზრო საავადმყოფოში კარგათ უნდა იყოს დაყენებული. სანიტარულ მხარესაც ამ საკითხში უნდა ჰქონდეს მიქცეული დიდი ყურადღება. ექიმებმა ძლიერ კარგათ ვიცით, რომ ამ ომის დროს ლაშქარში ძლიერ გავრცელდა ეს სენი და მალე ჩვენ დაბა-სოფლებსაც მოედება, თუ ამ საგანს დროზე არ მივაქციეთ ყურადღება.

დიდ სოფლებში დ დაბებში უსათუოდ უნდა გაიხსნას საზოგადო აბანოები.

ექ. ალ. მაღალაშვილი.

(შემდეგი იქნება).

## სომხეთის ამბები.

ყარსის სომეხთა ეროვნულ კომიტეტმა ამ დღეებში ინახულა გერმანიის წარმომადგენელი გენერალ ფონ-კრესსი და ბარონ ფრანკელშტეინი პროტესტის გამოსაცხადებლათ ყარსის გუბერნიაში ოსმალებისგან მომხდარ რეფერენდუმის წინაამდეგ.

—

სომხეთის შინაგან საქმეების მინისტრის თანაშემწე ი. თამამშიანი სამშაბათს, 21 აგვისტოს გაემგზავრა ერევანში.

—

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა ანდრანიკის ჯარში ნამყოფი. მისი გადმოცემით, როცა ანდრანიკმა თავის ჯარებით ვერ შესძლო სპარსეთში გადასვლა ნახიჩევანისკენ, დაიხია: ოსმალოს ჯარმა გზა მოუჭრა, რის გამოც გზის გასაწმენდათ მათთან ბრძოლა მოუხდა. ბრძოლის შემდეგ მოახერხა ყარაბახში გაქცევა. ის ხმები, ვითომ ყარაბახში ანდრანიკას თათრის სოფლები დაურბევია—ტყუილია. ამ ხანად ანდრანიკას ჯარი გერუსაში (ზანგეზურის მაზრა) იმყოფება. ადგილობრივ მცხოვრებთან კარგ განწყობილებაშია. სომხების და ოსმალების ურთიერთობა ამ ბოლოს დროს გამწვავებულა იმ მიზეზით, რომ ოსმალები არ უშვებენ სომხებს შუშიდან განჯას და იქიდან შუშას. შუშის სომხის ეროვნულმა საბჭომ მოსთხოვა, რომ ოსმალების განკარგულება შეიცვალოს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

მინისტრის მოკვლა.

დიკიანკაში (პალტავის გუბ.), 31 ივლისს ვიღაც უცნობმა ქუჩაში რევოლვერით მოჰკლა ივ. სტაშენკო, უკრაინელი ცნობილი პედაგოგი, ს.-დ. განათლების ყოფილი მინისტრი. მოკლულია აგრეთვე მისი შვილი იაროსლავი. ამ მკვლელობამ უკრაინაში მძიმე შთაბეჭდილება იქონია.

—

გელფერიხის გამგზავრება.

ავსტრიის პრეს-ბიურო იუწყება: „მოსკოვში მყოფ გერმანიის ელჩის გელფერიხის ბერლინში წასვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგანაც საბჭოთა მთავრობის უმწეო მდგომარეობამ, ცენტრალურ სახელმწიფოებს გარკვეული გადაწყვეტილება უნდა მიაღებინოს. სრულიად ეჭვი არ შეაქვთ ლენინისა და ჩიჩერინის გულწრფელ სურვილში, რომელთაც ცენტრალურ სახელმწიფოების დახმარებით სურთ რუსეთის აღდგენა“.

—

შავი ზღვის ფლოტი.

უკრაინის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება: „უკრაინის საზღვაო მთავარი შტაბის უფროსი კაპიტანი სვირსკი, რომელიც ბერლინში იყო მოსალაპარაკებლად უკრაინისთვის ფლოტის გადაცემის საკითხის შესახებ, ცნობას იძლევა, რომ უკრაინას გადაეცემა როგორც სამხედრო, აგრეთვე სავაჭრო შავი ზღვის ფლოტიო“.

—

სამარინის საქმე.

მოსკოვიდან რადიოთი ცნობაა, რომ სარევოლიუციო ტრიბუნალში შეტანილია საქმე სინოდის ყოფილ პროკურორის სამარინის შესახებ, რომელსაც ბრალდება სამღვდელოების ორგანიზაციის მოწყობა საბჭოთა მთავრობის წინაამდეგ. სამარინი დაიმალა.

## გამოსაღები ცნობები

## სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

### კახეთის რკინის გზაზე:

№ 3—გადის თბილისიდან დილის 8 ს. 28 წ.
გურჯაანში მიდის „ 10 „ 14 „
თბილისში „ საღამოს 5 „ —
№ 4—თბილისიდან გადის დილის 8 „ 58 „
გურჯაანში მიდის ნაშუადღ. 3 „ 24 „
თელავში „ საღამოს 5 „ —
№ 5—წნორის წყალიდან
გადის დილის 8 „ 42 „
გურჯაანში მიდის „ 10 „ — „
№ 6—გურჯაანიდან გადის ნაშუად. 4 „ 15 „
წნორის წყალში მიდის „ 6 „ 20 „

## განცხადებები


ექიმი დოქტორი მედიცინისა

**ვ. ნ. აქსელოს**

ღებულობს ვენერიული სენით შეპყრობილ ავათმყოფებს. უკეთებს სისხლს ანალიზს პროფ. კლაუზნერის მეთოდით. ავათაყოფები მიიღება დილის 9—12 ს-დე, საღამოს 6—8 ს-დე. პუშკინის ქ. „დვორცოვის ნომრები“ № 3. 6—3

დაიკარგა თბილისის კერძო ლომბარდის ბილეთი 73940, №700—მანეთისა. 3—3

ერთად-ერთი წარმომადგენელი ბორჯომის მინერალურ წყლებისა ი. ე. დოლიძე ქ. თბილისში ამით ვაცხადებ პატივცემულ მუშტართა საყურადღებოდ, რომ ნარდათ მყიდველებს ბორჯომის წყალს ვაწვდი ყუთობით, ყუთში 50 ბოთლია, 2 მან. ბოთლს. მთავარი საწყობი: ელისაბედის ქუჩა-174. განყოფილება ავლაბარში კახეთის ქუჩა 17. 3—3


პეტრე ივანეს ძე კალშევი აცხადებს, რომ დაჰკარგა თბილისის სახელმწიფო ბანკის ხელწერილი ფულის შენახვისა № 3934. 3-2

სოხუმის საოლქო სასამართლოს უფროსი ნატარიუსი აცხადებს რომ 1918 წლის 14 აგვისტოს მის მიერ დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომელიც გაკეთებულია სოხუმის ნატარიუსის ზატეორნიცკის მიერ მოსე იოსების ძე გაგუას მიერ გიორგი პავლეს ძე არჩაიაზე ადგილის მიყიდვის შესახებ. ადგილი არის ქ. სოხუმში, ზომით 13075 ოთხკუთ. საჟ. შენობებით, 19000 მანეთად.

სოხუმის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. 3 აგვისტოს მის მიერ დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, გაკეთებული გაგრის ნოტარიუსთან ლებედინსკისან სერგი ნიკოლოზის-ძე ნახიმოვის მიერ მიხეილ ნიკოლოზის-ძე წივწივაძეზე ადგილის მიყიდვის შესახებ. ადგილი არის ახალ-გაგრაში, სოხუმის ოლქი, ზომით 198 ოთხკ. საჟ. 8910 მანეთად.

სოხუმის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 2 აგვისტოს 1918 წ. მის მიერ დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, გაკეთებული გაგრის ნოტარიუს ლებედინსკისთან, სერგი ნიკოლოზის-ძე ნახიმოვის მიერ ნიკოლოზ ივანეს-ძე კსანფოპულოსზე ადგილის მიყიდვის შესახებ. ადგილი არის ახალ-გაგრაში, სოხუმის ოლქი, ზომით 410 ოთხკ. საჟ. 18450 მანეთად.

სოხუმის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ მან 2 აგვისტოს დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი იმ ადგილზე, რომელიც სერგი ნილის-ძე ნახიმოვმა მიჰყიდა გიორგი ივანეს-ძე ხრისტოდულიდის. ეს ადგილი არის გაგრაში № 117, ზომით 200 ოთხკ. საჟენი. სიგელი გაკეთებულია გაგრის ნოტარიუს ლებედინსკისთან.

ადგილის ფასი—9000 მან.

სოხუმის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ მან 5 აგვისტოს 1918 წ. დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი იმ ადგილზე, რომელიც ანასტასია ივანეს ასულმა კოტლიაროვამ ფილიპე მიტროფანის-ძე სელეზნიოვს მიჰყიდა. სიგელი გაკეთებულია გუდაუთის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ. ადგილი არის ქ. გუდაუთში, სოხუმის მაზრა, ზომით 480 ოთხკ. საჟ. 15000 მანეთად.

ხონის მომრიგებელ უბნის გამგე 1233 და 1241 მუხ. ძალით იწვევს სოფ. ღანირის, ქუთაისის მაზრის მცხოვრების უკვე გარდაცვალებულ ერმოლოზ სპირიდონის-ძე ლეჟავას მემკვიდრეებს, რათა მათ ექვსი თვის ვადაში აღიარონ თავისი უფლება ლეჟავას ქონებაზე.

846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, თბილისის საოლქო სასამართლოს განმარტვებით ეძებენ 218 ქვეითა სათადარიგო პოლკას ყოფილ ჯარის კაცს ტიმოთე ჩინიაკოვს და სოფ. ტურშინას (სიმბირსკის გუბ.) მცხოვრებს, ალექსანდრე გაბრიელის ძე ფროლოვს, რომლებსაც ბრალი ედებათ 13 და 1647 მუხ. ძალით. დამნაშავეების ნიშნები არ იციან. ყველა, ვინც იცის ,სად ცხოვრობს ჩინაკოვი და ფროლოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელთა უწყებაში არის დამნაშავეთა ქონება, ვალდებული არიან შეიტანონ ის საპეკუნო სამმართველოში. 22 აგვ. 1918 წ.

სოხუმის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ მან 1918 წ. 9 აგვისტოს დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომელიც გაკეთებული იყო სოხუმის ნატარიუსის, ზაგრაისკის მიერ, ადგილის მიყიდვაზე ნიკოლოზ პეტრეს ძე რაკევიჩის მიერ ჯანფერ ჩინჩევიჩის ძე ცვიუბაზე. ეს ადგილი არის ქ. ოჩემჩირეში, სოხუმის მაზრა, ზომით 360 ოთხ. საჟენი შენობებით ფასი 9000 მან.

საქრთველოს რესპბლიკის სააქციზო სამართველო ამით აცხადებს, რომ საგირაო კვიტანციები, რომელნიც იყვნენ მიცემულნი აღიშნული სამართველოსგან ქ. ქუთაისის ვაჭარზე იაკ. ფარსადანის ძე ავსარქიზოვზე 1917 წლის 20 თებერვლის თარიღით № № 31262, 31263. ამავე წლის 2 მარტის თარიღით № № 31336, 31337, 31338, 31339 31340, 1000 მანეთიანი დ № № 11709, 11710, 11711, 11712, 11713, 11714, 11715, 11716 დ 11717 თითო 500 მ. სულ 11500 მანეთისა დ რომელნიც ი. ფ. ავსარქისოვმა დაჰკარგა, ითვლებიან გაუქმებულ.

ქალაქ თფილისის მეოთხე განყოფილობის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულს მარტიროს გასპარის ძე გასპარიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება გასპარიანცის ქონებაზე, 1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში 22 აგვ. 1918 წელ.

ივანე ივანესძე მჭედლოვი აცგადებს, რომ მან დაჰკარგა ორი ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული თფილისის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 14 ოკტ. 1889წ. რესტრში № 2699 და 30 ნოემბრს 1899 წ. № 3015.

## განცხადება.

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა წესდების § 39 თანახმად იწვევს ბ. აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომლის საგანი შემდეგია;

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ და ამ მოხსენებიდან გამომდინარე კითხვების გარჩევა.
2. 1917 წლის კახეთის რკინის გზის ექსპლოატაციის ანგარიშის განხილვა.
3. მთავრობის მიერ ნება დართული თელავ-ყვირვანის ხაზის გასაყვანად, რომელიც შეაერთებს კახეთის რკინის გზას უღელტეხილის ხაზთან კავკასიის მთავარი ქედით, მთავრობას საშუალება უნდა ეთხოვოს.
4. მთავრობას უნდა ეთხოვოს თელავ-ახმეტის ხაზის გაყვანის ნებართვა.
5. გამგეობის ორი დირექტორის და დირექტორის ერთი კანდიდატის ამორჩევა.

საერთო კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3—1